ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

22 ნოემბერი, 2019 | პარასკევი, №11 (2237)

პირველ არხზე 6 ახალგაზრდა ანაზღაურებადი სტაჟირების სპეციალურ პროგრამას გაივლის

საქართველოს პირველი არხის პროექტის „წიგნების თარო Media" ფარგლებში, 2020 წლის იანვრიდან საქართველოს პირველ არხზე 6 ახალგაზრდა ექვსთვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების სპეციალურ პროგრამას გაივლის. გამარჯვებული სტუდენტები კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში გაემგზავრებიან. რეგისტრაცია ვებგვერდზე — registracia.1tv.ge. — უკვე დაიწყო და 20 დეკემბრამდე გაგრძელდება — ამის შესახებ არხის გენერალურმა დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძემ თსუ-ში სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა.

„წიგნების თარო Media" საგანმანათლებლო სოციალური პროექტია, რომელიც „წიგნების თაროს" უნიკალურ ქართულ მოგბილურ აპლიკაციაზე ხორციელდება.

პროექტის მიზანია, მთელი საქართველოს მასშტაბით გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას. პროექტში ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობენ თსუ-ის სტუდენტები.

კუნძულ კვიპროსზე აღმოჩენილი ნაეკლესიარი ქართველი ბერების კუნძულზე მოღვაწეობას უკავშირდება





ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, თსუ-ის სტუდენტების მონაწილეობით, კუნძულ კვიპროსზე, სოფელ სოფტადესში ნაეკლესიარი აღმოაჩინა, რომელიც ქართველი ბერების კუნძულ კვიპროსზე მოღვაწეობას უკავშირდება. ეკლესია V-VI საუკუნეებიდან XVI საუკუნემდე პერიოდში რამდენჯერმე გადაკეთდა.

არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, თსუ-ის პროფესორის ვახტანგ ლიჩელის თქმით, ნაეკლესიართან ერთად აღმოჩენილია შუა საუკუნეების მრავალფეროვანი დეკორატიული დეტალები, აგრეთვე, ძვ. წ. XII-VII საუკუნეების მოხატული კერამიკის ფრაგმენტები, რომაული ხანის ორი დაზიანებული ქანდაკება და ერთი კვიპროსული წარწერის მცირე ფრაგმენტი.

გვ. 3

ნომერში

■ უნივერსიტეტის ინიციატივა ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის წარმოსაჩენად — გვ. 4

■ ქართველი და იაპონელი მეცნიერები ფაზისს ეძებენ — გვ. 3

■ რა გზით არის შესაძლებელი იაფი ელექტროენერგიის მიღება საქართველოს პირობებში? — გვ. 5

■ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტს ლევან ალექსიძის მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელი ჩაუდგა სათავეში — გვ. 6

■ მსოფლიო ექიმთა ასოციაციის 70-ე გენერალური ასამბლეა თბილისში — გვ. 11

WORLD MEDICAL ASSOCIATION

■ ქეთევან ჭკუასელი: უნივერსიტეტი გულსაბნევივით უნდა დაიბნიონ და ყველგან იამაყონ, რომ აქ მუშაობენ

ქეთევან ჭკუასელი უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა — გვ. 7

დიახ, ესაა საქართველო

სტატია ეძღვნება ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს. წერილი მომზადდა უნივერსიტეტის ისრაელის ცენტრის პრეზენტაციისათვის, რომელიც თსუ-ში გაიმართა.

გვ. 8-9

თსუ-ის ისრაელის ცენტრი ახალი პროექტების განხორციელებას გეგმავს

■ გამოხმაურებები და შეფასებები ფილმზე – „დიახ, ესაა საქართველო!"

გვ. 10

კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი

თამარ დადიანი

რა ადგილი უჭირავს საქართველოს კავკასიის კულტურული განვითარების კონტექსტში? როგორია კავკასიური ენათმეცნიერების კულტურულ-ლინგვისტური როლი, ქართული და ჩრდილოკავკასიური ფოლკლორული ურთიერთობები, საქართველოს ფუნქცია დანარჩენ კავკასიასთან მიმართებაში? — სწორედ ამ საკითხებს განიხილავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი, რომლის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტმა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა. კონგრესი 3 წელიწადში ერთხელ იმართება და აჯამებს სამი წლის მანძილზე მეცნიერებაში მიღწეულ სიახლეებს.

კონგრესის მიზანია გამოკვეთოს საქართველოს როლი კავკასიის რეგიონის კულტურულ-ცივილიზაციური კონტექსტის ისტორიულ ჭრილში; განსაზღვროს კავკასიის რეგიონის წინაშე არსებული ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები; შეიმუშაოს გამოწვევათა გადასაჭრელად გასატარებელი აქტივობების სამეცნიერო საფუძვლები; გამოკვეთოს კავკასიის ინტეგრაციის პერსპექტივა რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის კონტექსტში; განსაზღვროს კავკასიის ლინგვოკულტურული და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესაძლებლობები.

კონგრესის თემაზე — „საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში“ სამეცნიერო მოხსენებები წარმოადგინეს ჩერქესკის, ინგუშეთის, კრაკოვის, ბაქოს, გროზნოსა და კავკასიის სხვადასხვა რეგიონის მეცნიერებმა. თემატიკა, რომელსაც მეცნიერთა მოხსენებები შეეხებოდა, მოიცავდა საქართველოს როლისა და ადგილის განსაზღვრას კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ განვითარებაში (ისტორია, თანამედროვეობა და პერსპექტივები); კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისა და პოლიტოგენეზის აქტუალური პრობლემებს; კავკასიის კულტურულ-ანთროპოლოგიური კვლევებს (არქეოლოგია, ეთნოლოგია, კულტუროლოგია, ფოლკლორი, ლიტერატურა); საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კვლევას თანამედროვე კავკასიაში; კავკასიის გეოპოლიტიკას (გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური მიდგომები; ეთნოკონფლიქტები); კავკასიის თემატიკას საერთაშორისო კავკასიოლოგიურ კვლევათა ცენტრებში, კავკასიის ენათა

გვ. 12

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

თამარ დადიანი

გლობალიზაცია რთული და კომპლექსური ფენომენია და მისი შესწავლა სხვადასხვა მეცნიერების ძალისხმევის გაერთიანებას მოითხოვს. ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტები დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან დიდ ყურადღებას აქცევენ მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, ტენდენციებს, დასავლეთში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას. მათი განსაკუთრებული ყურადღების საგანია ის დადებითი შედეგები და, ამასთანავე, საფრთხეები, რომელიც გლობალიზაციას მოაქვს და მომავალშიც შეუძლია მოუტანოს საქართველოს. სწორედ ეს საკითხები განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამართულ მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. მასში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები, ასევე, უმაღლესი სასწავლებლების, კვლევითი ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები. მსოფლიოს 12 სახელმწიფოდან წარმოდგენილი იყო 100-მდე ნაშრომი და სამეცნიერო სტატია. კონფერენციის სამეცნიერო თემატიკის მიხედვით მუშაობდა 14 სექცია.

პლენარული სხდომა გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. კონფერენციის პლენარულ სხდომას უძღვებოდა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე. მისი აზრით: „მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკა იმ კუთხით წარიმართოს, რომ თავისი ადგილი ნახოს გლობალურ ეკონომიკურ მასშტაბებში, რაც არც თუ ისე მარტივია. მსოფლიო განიცდის ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს. ირკვევა, თუ საით უნდა განვითარდეს ეკონომიკური ახალი პარადიგმები და ასეთი თემატიკის კონფერენციები მნიშვნელოვანია, რათა სწორად განისაზღვროს ეკონომიკური მეცნიერების მიმართულებები მსოფლიოში. საერთაშორისო კონფერენცია უკვე მეოთხეჯერ ტარდება და მას საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაუ-

გვ. 12

თსუ-ში მოქმედ პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მოთხოვნა გაიზარდა

გვესაუბრება თსუ-ის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი კახაბერ ჭეიშვილი

თამარ დადიანი

2019 წლის ივნისში უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული — თსუ-ის პროფესიული განათლების ცენტრი შეიქმნა. ცენტრს თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული პროგრამის განხორციელება დაეკისრა. მისი სრულყოფილად ამუშავება იმ მხრივაცაა აქტუალური, რომ პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობაზე საუბარი ახლახან დაიწყო ხელისუფლებამ. ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა უმეტესობა საქმდება, რაც კიდევ უფრო ზრდის მოთხოვნილებას ამ ტიპის სასწავლებლებზე. სწორედ ამის დასტურია ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სულ ცოტა ხნის წინ გამოცხადებულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია არაერთმა აპლიკანტმა გაიარა. კერძოდ: 2019 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში, 8 პროგრამის 194 ვაკანტურ ადგილზე 1221 კანდიდატი დარეგისტრირდა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა ტუროპერატორის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდისა და ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის სპეციალობებზე დაფიქსირდა.

კახაბერ ჭეიშვილი

ცნობისთვის: შემოდგომის მიღება გამოცხადებული იყო შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, საბაჟო საქმე, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა, საოფისე საქმე, ტუროპერატორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, შემფასებელი. პროგრამებზე ჩარიცხული აპლიკანტები ისწავლიან როგორც თბილისში, ისე ქუთაისში.

თუ რა სერვისს სთავაზობს თსუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სამუშაოს მაძიებელ პირებს, ამის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი **კახაბერ ჭეიშვილი**:

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება თსუ-ში 2007 წლიდან დაიწყო. 2011-2018 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავტორიზებულ და აკრედიტებულ რეჟიმში ახორციელებდა 12 საგნობრივ პროფესიულ პროგრამას, ხოლო 2015 წლიდან ამოქმედდა მოდულური პროფესიული პროგრამები.

2019 წლის ივნისში შეიქმნა უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული — თსუ-ის პროფესიული განათლების ცენტრი, რომელსაც დაევალა თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული პროგრამის განხორციელება. ცენტრი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს თბილისსა და ქუთაისში.

პროფესიული პროგრამების პოპულარობას განაპირობებს მათი ორიენტირებულობა შრომის ბაზარზე. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის, შრომის ბაზრისა და დასაქმებულთა გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე. როგორც სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, პროფესიულ კურსდამთავრებულთა დაახლოებით 60% დასაქმებულია.

თსუ ახორციელებს IV და V საფეხურის მოდულურ საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებს, რომლებზეც ჩაბარება მსურველებს სრული ზოგადი განათლებით შეუძლიათ. თუმცა, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული პროგრამები, ასევე, მოთხოვნადია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულთათვის, რის მიზეზსაც მათი მხრიდან ახალი პროფესიის დაუფლების სურვილი და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნისა და უნარების შეძენა წარმოადგენს.

2020 წლისათვის ვგეგმავთ მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავებას განსაკუთრებულად მოთხოვნადი პროფესიების მიმართულებით, როგორიცაა ტუროპერატორი, გიდი, სასტუმრო საქმე და სხვა.

პროექტის მიზანია ხელი შევუწყოთ და მოტივაცია ავუმაღლოთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს, რათა მათ მიიღონ პროფესიული განათლება. აღნიშნული პროექტი დაეხმარება დარგის პოპულარიზაციას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების შემდგომ დასაქმებას კომპანიაში და მათ კარიერულ წინსვლას“.

ვახტანგ ლიჩელის მე-13 თეორია

ქართველი და იაპონელი მეცნიერები ფაზისს ეძებენ

ნატო ობოლაძე

მარცხნიდან მარჯვნივ: ქართველი და იაპონელი სპეციალისტები პალიასტომის ტბაზე. პროფ. სატურო ოიში (კობეს უნივერსიტეტი, იაპონია), პროფ. ვახტანგ ლიჩელი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), პროფ. აკიო ტომიამა (კობეს უნივერსიტეტი, იაპონია) და პროფ. ჰიროკო მასუმოტო (კობეს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, იაპონია).

ანტიკური ქალაქის ფაზისის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებთან ერთად კობეს (იაპონია) უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც იმუშავებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე კობეს უნივერსიტეტის ვიცე რექტორს, პროფესორ ჰიროკო მასუმოტოს და ინჟინერიისა და ურბანული უსაფრთხოების კვლევითი ცენტის პროფესორს სატორუ ოიშის შეხვდა. ფაზისის პროექტში, კობეს უნივერსიტეტთან შეთანხმებით, იაპონიის კოსმოსური კვლევის ლაბორატორია (JAXA (Japan Aerospace Exploration Agency) და იაპონიის უმსხვილესი მრავალდარგოვანი ინსტიტუტი RIKEN-იც მონაწილეობს.

ანტიკური ფაზისის პოვნის მიზნით, ბოლო 200 წლის განმავლობაში მეცნიერებმა 12 თეორია შექმნეს, მათ შორის, თსუ-ს ემერიტუს პროფესორმა გურამ გრიგოლიამაც. მიუხედავად ამისა, კოლხეთის დაბლობზე ძვ.წ. VI საუკუნეში ბერძენი მოახალშენეების მიერ დაარსებული კოლონიის ზუსტი ადგილმდებარეობა დღემდე უცნობია. ძველ ბერძნულ ახალშენებს შორის ფაზისი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური დასახლება იყო. ისტორიული წყაროების მიხედვით, იქ 60 ენაზე მოსაუბრე ვაჭარი იკრიბებოდა. საკითხის გადასაჭრელად, რომელიც არქეოლოგების „აქილევსის ქუსლი“ გახდა, ქართველი და იაპონელი მეცნიერების ტანდემი შეიქმნა. მკვლევართა ჯგუფი ფაზისის ძებნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ვახტანგ ლიჩელის მე-13 თეორიის მიხედვით იწყებს. პროექტში იაპონიის კობეს უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი ჰიროკო მასუმოტო და ინჟინერიისა და ურბანული უსაფრთხოების კვლევითი ცენტრის პროფესორები სატორუ იოში და აკიო ტომიამა მონაწილეობენ. მკვლევრები ექსპედიციებისას იაპონიის კოსმოსური კვლევის ლაბორატორიისა (JAXA (Japan Aerospace Exploration Agency) და იაპონიის უმსხვილესი მრავალდარგოვანი ინსტიტუტის RIKEN-ის მაღალტექნოლოგიურ ტექნიკურ რესურსს გამოიყენებენ.

„კობეს უნივერსიტეტთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული. მისი ინიციატორი იყო ბატონი ალექსანდრე კარტოზია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ფაზისის პროექტის მხარდაჭერაშიც. ფაზისის ზუსტი ადგილმდებარეობის დასადგენად იაპონელ მეცნიერებთან თანამშრომლობას საფუძველი გასულ წელს ბრიუსელში ჩაეყარა, სადაც კობეს უნივერსიტეტისა და ევროგაერთიანებაში კობეს უნივერსიტეტის ფილიალის ერთობლივი სამეცნიერო შეხვედრა გაიმართა. მე წარვადგინე პროექტი, რომელშიც დასმული იყო საკითხი ფაზისის აღმოჩენის საერთაშორისო სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ. პროექტმა საერთო ინტერესი გამოიწვია და დაისვა საკითხი მისი შესაძლო განხორციელების თაობაზე. კობეს უნივერსიტეტი დაეთანხმა პირობას იმის შესახებ, რომ საქართველოს მხრიდან პროექტში ჩართულები იქნებიან მაღალკვალიფიციური არქეოლოგები, ხოლო იაპონიის მხრიდან კი — მაღალი ტექნოლოგიების სპეციალისტები. პროექტს მხარი დაუჭირა კობეს უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა ჰიროკო მასუმოტომ“, — განაცხადა არქეოლოგმა ვახტანგ ლიჩელმა.

„ჩვენ განვაახლეთ ძველი ისტორიული ქალაქ ფაზისის ადგილმდებარეობის ძიება, რისთვისაც შევეცდებით გავაერთიანოთ სხვადასხვა დისციპლინა და გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები. ძალიან სასიამოვნოა ქართველ არქეოლოგებთან თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უძველესი დროიდან არსებული კომუნიკაცია“, — აღნიშნა პროფესორმა სატორუ ოიშიმ.

ფაზისის ადგილმდებარეობის შესახებ, ერთი შეხედვით, ზუსტი მითითებები არსებობს. ძველი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი და კაპადოკიის ლეგატი არიანე აღწერდნენ, რომ კოლონია შავ ზღვისპირეთში ზღვას, ტბასა და მდინარეს შორის დაფუძნდა. თუმცა, ასწლეულების განმავლობაში კოლხეთის დაბლობზე მიმდინარე გეომორფოლოგიური ცვლილებები ქალაქის მდებარეობის ზუსტ იდენტიფიცირებას ართულებს.

„მითითებული ნიშნულების მიხედვით, ზღვას, მდინარესა და ტბას შორის მდებარეობს ქალაქი ფოთი, მაგრამ ფოთში კლასიკური ფაზისის ნაშთები არ არის. საქმე იმაშია, რომ დროის მანძილზე იცვლებოდა შავი ზღვის სანაპირო ხაზი, გასათვალისწინებელია მდინარე რიონის მიგრაციაც, რომელიც ასევე იცვლის კალაპოტს და მუდმივად გადაადგილდება ჩრდილოეთის მიმართულებით. ჩემი კვლევით, დავადგინე, რომ ანტიკური ფაზისის დაარსების პერიოდში არ არსებობდა პალიასტომის ტბა. ის გვიანდელი წარმონაქმნია. შესაბამისად, წერილობითი ისტორიული წყაროების შემდგომი ანალიზი აზრს კარგავს, თუ არ მოხდება პალეოჰიდრო სისტემის სრული რეკონსტრუქცია. აქვე აღვნიშნავ, რომ ფაზისის პრობლემის ინტერდისციპლინარული კვლევის მცდელობას უკვე არა ერთხელ ჰქონდა ადგილი და ამ მხრივ ქართველ მეცნიერებს, გეოლოგებსა და არქეოლოგებს (პირველ რიგში აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს) უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ ჩატარებული. ჩვენი და კობეს უნივერსიტეტის მეცნიერების ერთობლივი კვლევების მიზანია ჩავატაროთ იმ სახის გამოკვლევები, რომელიც ჯერ არ ჩატარებულა ამ პრობლემასთან დაკავშირებით და გამოვიყენოთ დისტანციური კვლევის სრულიად ახალი მეთოდები.

შავი ზღვის სანაპირო ხაზისა და მდინარე რიონის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა ქალაქ ფაზისის მდებარეობაც, ამიტომ სხვადასხვა პერიოდის ძველი ფაზისი სხვადასხვა ადგილზე მდებარეობდა, ეს მეცნიერებაში აღიარებული საკითხია და სწორედ ეს ართულებს მის ძიებას“ — აცხადებს ვახტანგ ლიჩელი.

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგ გურამ გრიგოლიას ცნობით, გასული საუკუნის 50-იან წლებში ფოთის აეროპორტის მშენებლობისას, სავარაუდოდ, რომაული ან ბიზანტიური ხანის ფაზისის კედლები დაანგრიეს და აგურები საფრენი ბილიკის ქვეშ მყარ მასად დააგეს. პალიასტომის ტბაში, ასევე, არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და შემდგომ თსუ-ის ექსპედიციების მიერ აღმოჩენილია არქეოლოგიური მასალა — კერამიკის ათასობით ფრაგმენტი, რომლის აქ არსებობის ახსნა სხვადასხვაგვარად შეიძლება. კლასიკური ხანის ფაზისის შესაბამისი არქეოლოგიური არტეფაქტები კი მეცნიერებს აქამდე არ უპოვიათ.

„ანტიკური ფაზისის პოვნის მიზნით, ჩვენი და იაპონელი მეცნიერების ერთობლივი სადაზვერვო ექსპედიცია უკვე განხორციელდა ფოთის აეროპორტის ტერიტორიაზე, სადაც ჩატარებული მქონდა არქეოლოგიური გათხრები და რომაული ხანის მეორად კულტურულ ფენებს მივაკვლიეთ, თუმცა ურბანული ტიპის დასახლების მანიშნებელი არაფერი აღმოგვიჩენია. ასევე, ვიმყოფებოდით პალიასტომის ტბაზე და მდინარე ფიჩორზე, რომელშიც 11 კილომეტრის მანძილზე შევედით. ჩვენი მიზანი იყო ამ არეალის წინასწარული მორფოლოგიური ანალიზი. მომავალში ჩატარდება რადარული დაზვერვები და დაიწყება მოპოვებული მასალის დეშიფრირება. ახლა ვაგროვებთ დამატებით სამეცნიერო ინფორმაციას, რომელიც ასევე იაპონიაში გაიგზავნება. გეოგრაფიულად ეს არის კოლხეთის ნაკრძალის არეალი, რომელიც, ძირითადად, დაჭაობებულია, ამიტომ სტანდარტული არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება ძალიან რთულია. შესაბამისად, ერთადერთი სწორი მიდგომაა მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება“, — აღნიშნავს ვახტანგ ლიჩელი.

რთულად მისადგომ ადგილებზე ქართველი და იაპონელი მეცნიერები უახლეს ტექნოლოგიებს — რადარებსა და ლიდარებს გამოიყენებენ, რომელიც ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ნაშთების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

„ანტიკური ფაზისის ადგილმდებარეობის განსასაზღვრად შემუშავებული ჩემი მოსაზრება რიგით მე-13 აღმოჩნდა. მივიჩნევ, რომ 13 ბედნიერი რიცხვია, ასე რომ, ვნახოთ... ვფიქრობ, მომავალი წლის გაზაფხულზე გარკვეული შედეგი უკვე გვექნება“, — ამბობს ვახტანგ ლიჩელი.

კობეს უნივერსიტეტის აღმასრულებელი ვიცე-რექტორის, პროფესორ მიზუტანის გადაწყვეტილებით, ანტიკური ფაზისის საძიებო ექსპედიციების შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებენ.

კუნძულ კვიპროსზე აღმოჩენილი ნაეკლესიარი ქართველი ბერების კუნძულზე მოღვაწეობას უკავშირდება

1-ლი გვერდიდან

ჩვენი ექსპედიციის დამსახურება მნიშვნელოვანია, როგორც ქართული, ისე კვიპროსის არქეოლოგიისთვის. ჩვენი ამოცანაა ვიზრუნოთ, რომ აღმოჩენილი არქიტექტურული ნაშთები დაცული იყოს და შემოვინახოთ, როგორც ნაშთები, რომლებიც საქართველოსა და კვიპროსის სიძველესა და არქეოლოგიას შეემატა ქართველი სამეცნიერო წრეების მოღვაწეობის წყალობით“, — აღნიშნავს ვახტანგ ლიჩელი.

კვიპროსულმა მხარემ თსუ-ის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი კვიპროსული წარწერის მცირე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფრაგმენტის კვიპროსული წარწერების კატალოგში შეტანის ნებართვა უკვე ითხოვა. არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად, თსუ-ის არქეოლოგიური მისიის წევრები შეხვდნენ კვიპროსის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, აგრეთვე კვიპროსის საკვირაო სკოლის მოსწავლეებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის ფონდმა კუნძულ კვიპროსზე ერთობლივი ექსპედიცია 2016-2017 წლებში დაიწყო.

უნივერსიტეტის ინიციატივა ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის წარმოსაჩენად

„ დვირფას მასწავლებელს და მეგობარს ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელმაც კაცობრიობის ოლიმპზედ თავისი პატარა საქართველოც სცნო ღირსად თავისუფალი ცხოვრებისა და მის წმინდა საკურთხეველზედ გულწრფელი მსხვერპლი შესწირა, უძღვნის ამ წიგნს ავტორი“, — ეს სიტყვები წაუმძღვარა თავის ნაშრომს „ერი და კაცობრიობა“ მიხაკო წერეთელმა, რომელიც ქართული სოციოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთ პირველ მონოგრაფიულ კვლევადაა აღიარებული.

სარკოფაგი ვარლამ ჩერქეზიშვილის ფერფლით ქ. ლონდონის „Golders Green“-ის კრემატორიუმში

მშობლიური ერის წინაშე დიდი დამსახურების მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში თაობები ისე აღიზარდნენ, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ. ათწლეულების განმავლობაში ყველაფერი კეთდებოდა რუსეთის იმპერიის მიერ დევნილი, XIX-XX საუკუნეების მიჯნის საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე საქართველოს ინტერესების დამცველის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის დასავიწყებლად. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ დაკარგულად ითვლებოდა მისი საფლავიც და მხოლოდ 2001 წლის ზაფხულში მრავალწლიანი ძიების შემდეგ ლონდონში, „Golders Green“-ის კრემატორიუმში, მივაკვლიეთ ლითონის სარკოფაგს მისი ფერფლით. 2013 წელს მოგვეცა შესაძლებლობა, მისი ფერფლი ქართული მარმარილოსგან დამზადებულ ახალ სარკოფაგში გადაგვესვენებინა. ვარლამ ჩერქეზიშვილის საქართველოში გადმოსვენებაზე ზრუნვა მაშინვე დავიწყეთ, თუმცა ჯერ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი. ვგულისხმობ, ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის ქართველი ხალხისთვის გაცნობის მიზნით მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას.

მიმდინარე წლის 15 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მხარი დაუჭირა ქართველ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფს და გამოსცა ბრძანება „XIX-XX საუკუნეების ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი უკვე მიენიჭა საგარეჯოს ერთ-ერთ ქუჩას და მისი მშობლიური სოფლის — თოხლიაურის საჯარო სკოლას. 7 დეკემბერს დაგეგმილია სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც აკადემიური წრეების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრებიან.

ვარლამ ჩერქეზიშვილი 1846 წლის 16 სექტემბერს თბილისის მაზრის (ამჟამად საგარეჯოს რაიონის) სოფელ თოხლიაურში თავად ჯან-ასლან (ტატო) ჩერქეზიშვილის ოჯახში დაიბადა. 10 წლის სასწავლებლად რუსეთში გაამგზავრეს. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისთვის, ორჯერ გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს. 1876 წელს გადასახლებიდან ევროპაში მოახერხა გაქცევა. იმავე წელს პირველი ინტერნაციონალის წევრი გახდა და თითქმის 30 წლის განმავლობაში (1902 წლამდე) თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის კონგრესების მუშაობაში.

ვარლამ ჩერქეზიშვილს სოციალისტური მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მას XX საუკუნის დასაწყისში ქართული და ევროპული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ეკამათებოდნენ სოციალისტური მოძრაობის აღიარებული ლიდერები: ი. ჯუღაშვილი, გ. პლეხანოვი, კ. კაუცკი, კ. ლიბკნეხტი და სხვა. ცნობილი რუსი მეცნიერის ბ. ნიკოლაევსკის შეფასებით, გასული საუკუნის დასაწყისში: „სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილმა და მისმა შრომებმა, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებული ერების ენაზეა თარგმნილი, განაპირობეს სოციალიზმის ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელთა ინტერესის ზრდა საკუთარი ისტორიისადმი, ბიძგი მისცეს თანამედროვე სოციალიზმის ღრმა მეცნიერულ კვლევას“.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ვარლამ ჩერქეზიშვილის ღვაწლი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. დღეს უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ თუ XIX-XX საუკუნეების სამანზე რუსეთის იმპერიის ფარგლებში ეროვნული ძალების შემაკავშირებლისა და წინამძღოლის ფუნქციებს ილია ჭავჭავაძე ასრულებდა, ევროპაში ვარლამ ჩერქეზიშვილის ბადალი პიროვნება ქართველებს არ გვყავდა. აღსანიშნავი გარემოებაა, რომ მათ მეგობრობისა და თანამშრომლობის ათწლეულები აკავშირებდათ. ჩვენ მიერ მოძიებული ვარლამის პირველი წერილი — „მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა“ — ჟურნალ „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1881 წელს გამოქვეყნდა.

ძნელია მოიძებნოს იმ დროს ეროვნული ძალების მიერ ევროპაში განხორციელებული თუნდაც ერთი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია, რომელშიც ვარლამ ჩერქეზიშვილს, თუ თვითონ არ იყო მისი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, აქტიური მონაწილეობა მაინც არ მიეღო, პატრიოტული ძალებისათვის დახმარება არ გაეწია. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია დავასახელოთ: არჩილ ჯორჯაძისა და მისი თანამზრახველების მიერ პარიზში გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა, ქართველი სოციალ ფედერალისტების მიერ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასახმარებლად საქართველოში გემით დიდძალი იარაღისა და საბრძოლო მასალის შემოტანა; დუშეთის სამხედრო ხაზინიდან 350 ათასი რუბლის გატაცების ორგანიზატორებისა და შემსრულებლების ძმები კერესელიძეების შვეიცარიის მთავრობის მიერ რუსეთისათვის გადაცემის საწინააღმდეგო კამპანიის წარმატებით წარმართვა; 1905-1906 წწ. რუსული დამსჯელი რაზმების მიერ დასავლეთ საქართველოს რიგი ქალაქებისა და სოფლების გადაწვის და თბილისში ჩადენილი საზარელი მკვლელობების, მოსახლეობის დარბევა-დაწიოკების შესახებ ევროპისა და ამერიკის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება; გორის მაზრაში, ტირიფონის ველიდან, ქართული სოფლების აყრისა და უცხოეთში გადასახლების საწინააღმდეგო აქციის წარმატებით დასრულება; კონსტანტინოპოლსა და ინგლისში მოღვაწე მაღალი რანგის სასულიერო პირებთან ერთად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა და სხვა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო ის პოლიტიკოსი, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში, ევროპაში გამოცემული ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით, პირველმა აღიმაღლა ხმა რუსეთის მიერ საქართველოსა და, ზოგადად, ამიერკავკასიაში გატარებული კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ჩვენი თანამემამულეებიდან პირველმა მიაქცია ყურადღება მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების რუსეთის მიერ 1783 წელს საქართველოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივ ასპექტებს და პირველად, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ეს საკითხი საერთაშორისო კონფერენციის მსჯელობის საგნად აქცია (იგულისხმება ჰააგის 1907 წლის საერთაშორისო კონფერენცია და მისი შედეგები — საქართველოს გაწევრიანება დაჩაგრულ ერთა ლიგაში, ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მისი თანამებრძოლების რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მამხილებელი გამოსვლები ლიგის კონგრესებზე და სხვა).

ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის წარმოსაჩენად შექმნილი სამუშაო ჯგუფის პროგრამის მიხედვით, სამეცნიერო დარგთაშორისი კონფერენციები საქართველოსა და საზღვარგარეთ 2020 წელსაც გაიმართება. ასევე, გამოიცემა და ინტერნეტში განთავსდება საერთაშორისო სახელის მქონე ქართველი პოლიტიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურა, საზოგადოებაში ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის ცნობადობის ასამაღლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების მონაწილეობით იგეგმება სატელევიზიო, რადიო გადაცემების ორგანიზება. სამუშაო ჯგუფი დედაქალაქის ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ქუჩისთვის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების შუამდგომლობით შესაბამის სახელისუფლებო ინსტიტუტებსაც მიმართავს. დასკვნით ეტაპად გათვალისწინებულია 2021 წელს, დაბადებიდან 175 წლისთავთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უნივერსიტეტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც საერო, ისე საეკლესიო ხელისუფლების წინაშე, სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილის ფერფლის ლონდონიდან საქართველოში გადმოსვენებისა და ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვის საკითხის ინიცირება.

გოჩა ფერაძე,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი

საშემოდგომო კონკურსის შედეგად 63 სტუდენტური პროექტი დაფინანსდა

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭომ 2019 წლის საშემოდგომო კონკურსის შედეგად 63 პროექტი დააფინანსა. მთლიანობაში კომისიამ 111 საკონკურსო განაცხადი განიხილა. გამარჯვებული პროექტების ჩატარების ანგარიში პროექტების ორგანიზატორებმა და რეკომენდატორებმა სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს წლის ბოლომდე უნდა წარუდგინონ.

თამარ გაგოშიძე

„ცხადია, ყველაზე მეტად, სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურობს. ძირითადად, მათი ორგანიზებით იმართება კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები. დაახლოებით 10-12 პროექტია ინდივიდუალურად სტუდენტების მიერ შემოტანილი. კვლევითი პროექტების რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია და ყველა მათგანი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ეკუთვნით. მიხარია, რომ პროექტების წერის ხარისხი გაიზარდა, ბევრად უფრო გამართულია წერილობითი და სტრუქტურული თვალსაზრისით. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების კვლევითი ხასიათის პროექტებს ეტყობა, რომ მათი პროექტი ერთი დიდი კვლევის ნაწილია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს სასიხარულო ფაქტია, მაგრამ, ამავე დროს, სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით სხვა ფაკულტეტებიდან აქტივობა მინიმალურია. ვვარაუდობ, რომ სტუდენტებს არ აქვთ საბჭოს შესახებ ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ის ვებ-გვერდზე სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება“, — აღნიშნა სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს ხელმძღვანელმა თამარ გაგოშიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების კონკურსი წელიწადში 3-ჯერ ცხადდება. განაცხადების მიღების პირველი ეტაპი — წლის დასაწყისიდან 15 თებერვლამდე გრძელდება, მეორე ტაპი — 20 აპრილამდე, მესამე კი — 5 ოქტომბრამდე.

რა გზით არის შესაძლებელი იაფი ელექტროენერგიის მიღება საქართველოს პირობებში?

ფოტოვოლტაიკა - მზის ალტერნატიული ენერგიის გაუმჯობესებული წყარო

მაია ტორაძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ მჭედლიძე 2012 წლიდან დრეზდენის უნივერსიტეტის გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის ნახევარგამტარების ლაბორატორიაში მოღვაწეობს. მისი სამეცნიერო ინტერესები მრავალმხრივია: არის 120-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალის მოწვეული რედაქტორი და რეცენზენტი; ფლობს რამდენიმე პატენტს. იგი ბოლო პერიოდში თანამედროვე ფოტოვოლტაიკით, ანუ მზის ელემენტების გაუმჯობესებით დაინტერესდა და 29 ოქტომბერს სწორედ ამ თემაზე გამართა სემინარი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის განყოფილებაში. სემინარის თემა იყო: „თანამედროვე ფოტოვოლტაიკა: გლობალური ტრენდები და მიმდინარე პრობლემები“.

მზის ელემენტების გაუმჯობესება, მათი გამოყენების ხანგრძლივობა და ეფექტურობა, ალტერნატიული ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით, ქართული საზოგადოების ინტერესსაც იწვევს. რა სიახლეებია ამ კუთხით და რამდენად ეკონომიურია ფოტოვოლტაიკის გამოყენება ქართულ ენერგოსისტემაში — ამ საკითხებზე მეცნიერი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ ესაუბრა:

— ბატონო თეიმურაზ, მზის ენერგიის გამოყენება საქართველოში კარგა ხანია დაიწყო. მისი წილი ენერგეტიკაში დიდი არაა, მაგრამ, ფაქტია, რომ მაღალმთიან სოფლებსა და იმ ადგილებში, სადაც მისი გამოყენება რელევანტურია, უკვე ცდილობენ, მზე გამოიყენონ, როგორც ალტერნატიული ენერგიის წყარო. რა განსხვავებაა ჩვეულებრივ მზის ბატარეებსა და ფოტოვოლტაიკურ ბატარეებს შორის?

— საქმე ისაა, რომ წარმოების ტექნოლოგია ძალიან სწრაფად ვითარდება. მზის ბატარეების გაუმჯობესებასთან ერთად, ძალიან მკვეთრად ეცემა მათი წარმოების ფასიც. ჩემს მოხსენებაში მოყვანილი მქონდა სტატისტიკური მონაცემები იმის თაობაზე, რომ 2010 წლიდან დღემდე დანადგარის ფასი 8-ჯერ შემცირდა. ამჟამად მზის ელემენტებით მოპოვებული ფასები უკვე კონკურენტულია სათბობ-ენერგეტიკული წარმოების — ჰიდროელექტროსადგურების ან, თუნდაც, ბირთვული ენერგიის ფასებთან. ამ ყველაფერთან ერთად, მზის ენერგია არის „მწვანე ენერგია“, რომელიც უვნებელია გარემოსთვის.

ფოტოვოლტაიკური ელემენტი არის ნახევარგამტარი. ეს არის, დაახლოებით, იგივე სტრუქტურის ნივთიერება — სილიციუმის კრისტალი — რომელიც ტელეფონებში და კომპიუტერებში გამოიყენება. ამ კრისტალში ხდება ე.წ. PM გადასვლა, ანუ გარკვეული ელემენტების მცირედი რაოდენობის დამატება. შესაბამისად, ჩვენ ვიღებთ ისეთ მოწყობილობას, რომელიც მზის ენერგიას შთანთქავს და იწვევს სილიციუმში დენის მატარებლების წარმოქმნას. შემდგომ ეს მატარებლები იყოფა დადებით და უარყოფით მატარებლებად და ვიღებთ ელემენტს. ეს უკანასკნელი უკვე შეგვიძლია, რომ შევაერთოთ ნათურას ან ნებისმიერ ტექნიკას.

ეს არის გაუმჯობესებული ბატარეები. პრინციპული სიახლე არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ, ფართო წარმოებასთან ერთად, მეტი გამოცდილება გროვდება — თუ როგორ გავაკეთოთ უფრო იაფი, ეფექტური და ეკოლოგიურად სასარგებლო ბატარეა.

— სემინარზე თქვენ ისაუბრეთ ამ ბატარეების მომგებიანობაზე საქართველოს პირობებში...

— საქართველოსთვის ასეთი ელემენტების გამოყენება არის ძალიან კარგი იმ მხრივ, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი მზე, გვაქვს მთის ფერდობები, რომლებიც არ გამოიყენება და გვაქვს სუფთა ჰაერი, რაც მზის ენერგიის გამოყენებას უწყობს ხელს. ჩვენ, უბრალოდ, არ გვაქვს შესაბამისი სტრუქტურა. თვითონ დასახელება — მზის ბატარეა — ამბობს, რომ როცა მზე არ არის, ის არ გამოიმუშავებს ენერგიას: დღისით

თეიმურაზ მჭედლიძე

მუშაობს, ღამით და ღრუბლიანში — არა. ამიტომ, ასეთ პირობებში გვჭირდება ამ ელემენტების ისე შეერთება, რომ შევძლოთ შეცვლა — როცა მზე არ არის, გამოვიყენოთ დაგროვებული ენერგია. ამისთვის გვჭირდება ქსელის შექმნა — ეს არის მთავარი, თორემ ღირებულებით ამ ბატარეების წარმოება და მის მიერ გამომუშავებული ენერგია დღეს უკვე საკმაოდ იაფია.

— თქვენი ინფორმაციით, რამდენად ინტენსიურად იყენებენ მზის ბატარეებს უცხოეთში?

— ზოგადად, დასავლეთში უკვე აქტიურად მუშაობენ ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის მიღებასა და მოხმარებაზე. მაგალითს მოგიყვანთ — შარშან ზაფხულში გერმანიაში ელექტროენერგიის მოხმარების 45% ფოტოვოლტაიკურ ელემენტებზე მოდიოდა.

— რა გვჭირდება იმისთვის, რომ ელემენტები თავად ვაწარმოოთ?

— მისი წარმოებისთვის არის ორი მიმართულება. ერთი არის ფაბრიკების შექმნა, რომელშიც 10 კვადრატულ კილომეტრზეა მოთავსებული მზის პანელები, შემდეგ მიღებული ენერგია მუშავდება და გარდაიქმნება ისე, რომ გამოყენებადი იყოს. ასეთი დიდი ფაბრიკებიდან წარმოებული ენერგია მოხმარდება ქარხნებს, ქალაქებს და სხვ.

წარმოების მეორე სახე არის მომხმარებლის სახლების ან სხვა შენობების სახურავებზე დამონტაჟებული მზის ელემენტები, რომლებიც საკმარისია ამ სახლის გათბობისა და განათებისთვის.

ყველაზე ბოლო მიღწევა ამ სფეროში ისაა, რომ უკვე შესაძლებელია მიღებული ენერგიის შენახვა. შესაბამისად, მზის ბატარეების გამოყენების შემთხვევაში, შეგვიძლია ენერგიის ნაწილი მოვიხმაროთ, ხოლო ნაწილი მივაწოდოთ ქსელს (შევინახოთ). შედეგად, ღამით, როცა მზე არ არის, ქსელიდან მივიღებთ ენერგიას. ამით, ფაქტობრივად, უფასოდ ვიღებთ ენერგიას და შეგვიძლია მომგებიანად გავყიდოთ კიდეც.

— რამდენად ხანგრძლივია ამ ელემენტების გამოყენების ვადა, ინარჩუნებს თუ არა ის ეფექტიანობას დიდხანს?

— ეს ელემენტები 25-30 წლიან გარანტიას იძლევა. შესაბამისად, იმ თანხის ამოღება, რომელიც მათი წარმოებისთვის იხარჯება, მარტივია. უხეშად რომ ვიანგარიშოთ, 5000 დოლარი ჯდება მისი დამონტაჟება მთელი თავისი ინფრასტრუქტურით. თუ არსებობს ქსელი და ენერგიის გაყიდვაც შესაძლებელია, მაშინ ამ ფასის ამოღება კიდევ უფრო მცირე დროში მოხდება. ანუ — დახარჯულ 5000 დოლარს შენ იღებ უკან და ამასთან გაქვს უფასო ელექტროენერგია. საქართველოს პირობებში, რადგან აქ მზე მეტია, თანხის ამოღება კიდევ უფრო მოკლე დროში იქნება შესაძლებელი.

— ხომ არ გქონიათ კომუნიკაცია ქართველ მწარმოებლებთან, რათა მზის ენერგიის მწარმოებელი ფაბრიკები გაიხსნას?

— მე ვიცნობ ენთუზიასტ მწარმოებლებს, რომლებსაც შემოაქვთ ეს ელემენტები საქართველოში და ცდილობენ, განავითარონ. ვინც პირველი დაიწყებს, ცხადია, ის მეტ მოგებას ნახავს, მაგრამ ჯერ გაგება უჭირთ. ახლა არის ის პერიოდი, როდესაც ამ გზით ელექტროფიკაცია მართლა შეიძლება მოხდეს საქართველოში. მე დათვლილი მაქვს, რომ საქართველოს ენერგომოხმარებისთვის მთლიანობაში 121 კვადრატულ კილომეტრიანი ფაბრიკის შექმნაა საჭირო. წარმოიდგინეთ, ჩვენ ხომ გვაქვს ფერდობები (თან ზუსტად ისე დახრილი, რაც ეფექტურობისთვისაა საჭირო), მათზე უნდა განთავსდეს ეს პანელები და მერწმუნეთ, ძალიან იაფ ელექტროენერგიას მივიღებთ, რაც ქვეყნისთვის მომგებიანიც იქნება.

რას მოიცავს იურიდიული ფაკულტეტის პროგრამების განმავითარებელი შეფასება

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები საერთაშორისო ექსპერტმა, პროფესორმა ანა კლებე პელისიემ შეაფასა. ვიზიტი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) მხარდაჭერით განხორციელდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ქართული სამართლის სკოლა ერთ-ერთი მაღალი დონის სამართლის სკოლაა ევროპული მასშტაბით“.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით, პროფესორი ანა კლებე პელისიე შეხვდა პროგრამების ხელმძღვანელებს, ფაკულტეტის დეკანს თამარ ზარანდიას, მის მოადგილეებს ირაკლი ბურდულსა და დემეტრე ეგნატაშვილს, თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირმა გრძელიძესა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს გიორგი მახარობლიშვილს. ვიზიტის ფარგლებში ანა კლებე პელისიემ ინ-

ტერვიუები გამართა იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, დამსაქმებლებთან, სამივე საფეხურის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.

„ეს უკვე მეორე განმავითარებელი შეფასებაა. ჩვენს ფაკულტეტს მალე უწევს აკრედიტაციის პროცესი და ვმუშაობთ, რომ ჩვენი პროგრამები საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში იყოს. ქალბატონ ანა კლებე პელისიე საერთაშორისო ექსპერტია, რომელსაც ევროპის არაერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელთან უმუშავია და ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის თავმჯდომარე იყო. წერილობითი შემაჯამებელი დასკვნა ჯერჯერობით არ წარმოუდგენია, თუმცა, ვისაუბრეთ და საერთო ჯამში მისი შეფასება ძალიან დადებითია. მისი პირველი ვიზიტის შემდეგ ჩვენ გარკვეული ცვლილებები განვახორციელეთ. ხშირი კომუნიკაცია გვაქვს დამსაქმებლებთან და მათი ინიციატივიდან გამომდინარე ფაკულტეტზე პრაქტიკული სასწავლო კურსების რაოდენობა გავზარდეთ, მაგალითად: „ხელშეკრულების შედეგების მეთოდიკა“, „საპროცესო დოკუმენტაციის შედგენა“, სხვადასხვა მიმართულების პრაქტიკული კურსები; კლინიკების ფართო არჩევანი გვაქვს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის, მაგრამ ვაპირებთ მათი რაოდენობა გავზარდოთ, შესაძლოა ბაკალავრიატის დამამთავრებელ საფეხურზეც გავაძლიეროთ პრაქტიკული სწავლება. დამსაქმებლებთან მუდმივად ვართ კავშირზე და, იქიდან გამომდინარე, თუ რა უნარების კადრები სჭირდებათ მათ, ჩვენს კურიკულუმში გარკვეული ცვლილებები შეგვაქვს.

პირველი განმავითარებელი შეფასების დროსაც ანა კლებე პელისიეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ფაკულტეტისთვის ფინანსური ავტონომიის მინიჭება იყო. იგულისხმება, რომ ფაკულტეტს საუნივერსიტეტო ბიუჯეტში მის მიერ შემოტანილი ფინანსებიდან მეტი თანხა სჭირდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს საქართველოს მასშტაბით საუკეთესო აკადემიური გუნდი ჰყავს. კონკურენცია იზრდება, შესაბამისად, მათთვის რელევანტური ფინანსური გარანტიების შექმნის გარეშე დიდია რისკები ფაკულტეტის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით“, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ.

პროფესორი ანა კლებე პელისიე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს შეფასების მიზნით უცხოელ ექსპერტთან, პროფესორ ხოსე მარია დე დიოს მარსერთან ერთად 2017 წელს ეწვია.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, უკეთესი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად, უახლოეს მომავალში, თსუ-ის კორპუსის შიდასარეაბილიტაციო სამუშაოები იგეგმება.

საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტს ლევან ალექსიძის მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელი ჩაუდგა სათავეში

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს, რომელსაც დაფუძნების დღიდან აკადემიკოსი ლევან ალექსიძე უძღვებოდა, მისი ერთ-ერთი პირველი მოსწავლე, პროფესორი ირინე ქურდაძე უხელმძღვანელებს. საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი მსოფლიოს აკადემიურ წრეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართული სასწავლო-კვლევითი ცენტრია. კონკრეტულად რას გულისხმობს ახალი პასუხისმგებლობა — გეგმები, პრიორიტეტები, გამოწვევები — ამის შესახებ პროფესორი **ირინე ქურდაძე** *გვესაუბრება.*

ირინე ქურდაძე

- თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
- იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი;
- სამეცნიერო კვლევის სფერო: საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხი, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის თანამედროვე გამოწვევები; ეროვნულ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობათა საერთაშორისო სამართლებრივი და ეროვნული სტანდარტები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (2009-2012 წწ.);
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი (2008-2009 წწ.);
- საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008 წწ.), საგარეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ევროპის საბჭოში საქართველოს დელეგაციის წევრი;
- ეროვნული ექსპერტი. გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი: „საკონსტიტუციო სასამართლოს მხარდაჭერა“ (1997-2004 წწ.).

— რა ისტორია აქვს საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტს?

— საქართველოში საერთაშორისო სამართლის სკოლას საფუძველი ბატონმა ლევან ალექსიძემ ჩაუყარა. ეს იყო 80-იანი წლების მიწურულს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ბატონ ლევანს გამორჩეულად სიღრმისეული ხედვა ჰქონდა და მან კარგად იცოდა, რომ საერთაშორისო სამართალი საქართველოს უახლოეს პერიოდში დასჭირდებოდა. იმ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. ბატონმა ლევანმა, როდესაც ჩვენს ჯგუფში საერთაშორისო საჯარო სამართლის კურსის წასაკითხად შემოვიდა, შემოგვთავაზა საერთაშორისო სამართლის სადისკუსიო კლუბში მონაწილეობა. სტუდენტთა ერთი ჯგუფი დავინტერესდით და ისე მოხდა, რომ როდესაც ბატონმა ლევანმა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი ჩამოაყალიბა, ჩვენ ვიყავით პირველი კურსდამთავრებულები. შესაბამისად, დღევანდელი ინსტიტუტის ისტორია უკავშირდება ფაკულტეტის ჩამოყალიბებას, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით ასპირანტურის შექმნასა და ამ მიმართულებით თანამოაზრეთა გაერთიანებას... ასე აგურ-აგურ შეიქმნა ეს სკოლა და მეც წილად მხვდა პატივი, რომ ამ პროცესების მონაწილე ვყოფილიყავი. 30 წლის მანძილზე ბევრი სირთულე და გამოწვევა იყო, მაგრამ ყოველივე წარმატებით დაიძლია. დღეს უკვე აღარ ჩნდება კითხვის ნიშანი და ვიცით, თუ რისთვის არის საჭირო საერთაშორისო სამართლის სკოლა.

— როგორი ვითარებაა ახლა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით ახალგაზრდა მკვლევართა ინსტიტუტის განვითარების თვალსაზრისით?

— ზოგადად, მკვლევართა ინსტიტუტის განვითარება ქვეყანაში არსებული ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. სამწუხაროდ, ახალგაზრდა მკვლევრებს არ აქვთ იმის კომფორტი, რომ კვლევას თავისი სრული დრო დაუთმონ, თუმცა, მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის სექტორში სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა მზარდია. კონკრეტული ანალიზი არ ჩატარებულა, მაგრამ ფაქტია, ინტერესი იზრდება. ასევე, აქტუალურია კვლევის მიმართულებები, რომლებზეც ისინი მუშაობენ. ეს თემები ესადაგება იმ გამოწვევებს, რომელიც საქართველოს აქვს საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში. ამ პროცესში უცხოელი პარტნიორებიც არიან ჩართულები, რათა ადეკვატურად შევაფასოთ — სისტემურად რამდენად სწორად ვითარდება ჩვენს მიმართულებაზე კვლევითი კომპონენტი.

— დღეს ხშირად საუბრობენ, რომ საქართველოში მეცნიერებას განვითარებისთვის სათანადო ხელშეწყობა არ აქვს. თქვენ მუშაობდით სახელმწიფო სტრუქტურებში, ხართ აკადემიური წრის წარმომადგენელი. რას ფიქრობთ, რა არის საჭირო სამეცნიერო კვლევითი სექტორი რომ განვითარდეს?

— არ არსებობს ერთიანი ფორმულა, რითაც შეიძლება ესა თუ ის პრობლემა გადავწყვიტოთ. ის საკითხი, რომელიც თქვენ დააყენეთ, კომპლექსურია და უკავშირდება სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას. ხანდახან საზოგადოების მხრიდან სკეპტიკურ დამოკიდებულებას იწვევს საგანმანათლებლო პოლიტიკის ცვლილებები, მაგრამ განათლების სექტორში როგორც კი გაჩერდები, მაშინვე დაიწყებ უკუსვლას. შესაბამისად, ის პროცესები, რომელიც მიმდინარეობს, მიმაჩნია, რომ ევოლუციურია — მეტი რესურსი და შესაძლებლობები გაჩნდა. სამეცნიერო სივრცეს მთლიანად ვერ შეავფასებ, არსებობს სამეცნიერი-კვლევითი მიმართულებები, რომლებიც საერთაშორისო არენაზეც კარგად არის ცნობილი. ზოგიერთ დარგს ცნობადობის გაზრდისთვის კი მეტი მხარდაჭერა სჭირდება, რადგან მეცნიერება ლოკალურად ვერ განვითარდება. ბუნებრივია, დიდ ძალისხმევას მოითხოვს საერთაშორისო და ადგილობრივ საგრანტო კონკურსებში, კონფერენციებში თუ პროექტებში მონაწილეობა. ეს ცოდნის ურთიერთგაცვლის ერთგვარი შესაძლებლობაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამის კარგი გამოცდილება გვაქვს., თუმცა ზრდის პოტენციალი და სურვილიც არსებობს.

— საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ერთ-ერთი სფეროა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებისთვის საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემებისა და დოკუმენტების ანალიზი და მათთვის რეკომენდაციების მიწოდება. რამდენად ინტენსიურია ეს თანამშრომლობა?

— ზოგადად იურიდიულ ფაკულტეტს და მათ შორის ჩვენს ინსტიტუტს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს. გვაქვს გაფორმებული მემორანდუმები, რომლებიც მოქმედია და კონკრეტულ თანამშრომლობაშია ასახული. ასევე აღვნიშნავდი, რომ დღეს, როდესაც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში, ბევრი საკითხი აქვს მოსაწესრიგებელი, მათ შორის სამართლებრივი, ჩვენს კურსდამთავრებულებზე სახელმწიფო უწყებების მხრიდან მოთხოვნა სულ უფრო იზრდება.

— რას გეგმავთ საერთაშორისო კავშირების გაღრმავების თვალსაზრისით?

— ამ მიმართულებით საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი მუდმივად მუშაობდა. ბატონ ლევან ალექსიძეს საერთაშორისო კონტაქტების უდიდესი რესურსი ჰქონდა. თავად გახლდათ, პირდაპირი მნიშვნელობით, მსოფლიო მასშტაბის აღიარებული მეცნიერი. ეს აისახებოდა ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობაზეც. ინსტიტუტის აკადემიურმა პერსონალმა უკვე ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და ვიცით — რა ახალი მიმართულებებით უნდა ვიმუშაოთ. ეს უკავშირდება როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო კომპონენტსაც. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს არსებული საერთაშორისო კავშირების — ინსტიტუციონალიზაცია და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება/გაღრმავება.

— საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა, სტუდენტებისთვის სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალების მომზადებაა. რას გეგმავთ ამ კუთხით?

— სასწავლო პროგრამის განვითარება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რასაც, ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემა უყენებს სამართლის პროფესიას, ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პასუხისმგებლობაა. 2020 წელს აკრედიტაციის ახალი ეტაპი იწყება და პროგრამების გადამუშავება ახალი გამოწვევების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ვითვალისწინებთ სტუდენტების სურვილებს, აკადემიური პერსონალისა და იმ ინსტიტუციების ხედვას, რომლისთვისაც ახალ კადრებს ვამზადებთ. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ჭრილში სახელმწიფო სტრუქტურებს სჭირდება საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები. შესაბამისად, ამ პროფესიის ადამიანებზე მოთხოვნა გაზრდილია და ამიტომ ჩვენს კურსდამთავრებულებს დასაქმების პრობლემა ყველაზე ნაკლებად აქვთ.

— აკრედიტაციისთვის რა სახის ცვლილებები განხორციელდება?

— ამ ეტაპზე სახელმწიფო მოითხოვს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციას. აკრედიტაციისთვის მზადების პროცესი ბატონ ლევანთან ერთად დაიწყო და სამწუხაროა, რომ მის გარეშე გვიწევს გაგრძელება. თუმცა, ეს პასუხისმგებლობა ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული და ვალდებულები ვართ — აკრედიტაცია გავიაროთ ისე, როგორც ამ ინსტიტუტს ეკადრება. ახლა მზადების პროცესში ვართ, ერთობლივად ვმუშაობთ სხვადასხვა შესაბამის უწყებებთან ერთად. ამ პროცესში მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის და თავად იურიდიული ფაკულტეტის მხარდაჭერა და ეს თანადგომა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ვლინდება კიდეც.

— იურიდიულ ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამების შეფასების მიზნით იმყოფებოდა საერთაშორისო ექსპერტი ანა კლებე პელისიე. შეფასება პოზიტიური იყო...

— ქალბატონი ანა კლებე პელისიე ცნობილი ექსპერტია, ორი წლის წინაც იმყოფებოდა საქართველოში და მაშინაც კარგი შეფასება მივიღეთ. რა თქმა უნდა, ჩვენც ვიცით — რა არის გასაუმჯობესებელი, მაგრამ საერთაშორისო ექსპერტის მხრიდან იმის მოსმენა, თუ რამდენად ახლოს ვართ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან, სასარგებლოა. ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ, რაც აქამდე გაკეთებულა, თუმცა დარჩენილია საკითხები, რომლებზეც მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო. დღეის მონაცემებით, ფაქტია, რომ ჩვენი სტუდენტები საერთაშორისო სივრცეშიც კონკურენტუნარიანები არიან — იღებენ გრანტებს საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებიდან, წარმატებით მონაწილეობენ მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა კონკურსებში... განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ინგლისური ენის შესწავლას, უცხო ენა ჩვენი პროგრამის რვავე სემესტრშია გათვალისწინებული.

— რაც შეეხება თქვენს სამეცნიერო საქმიანობას, ამ ეტაპზე რა არის თქვენი კვლევის თემა?

— ჩემი სამეცნიერო ინტერესის საგანი, ჯერ კიდევ სადისერტაციო ნაშრომიდან დაწყებული, ეხებოდა საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხს — როგორ, რა შემთხვევებში შეგვიძლია გამოვიყენოთ საერთაშორისო სამართალი და როგორ უყურებს ამას ჩვენი კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე, დავინტერესდი — თუ რა გავლენას ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოს შიდა სამართლებრივ სივრცეზე. ამჯერად ვიკვლევ ეროვნულ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობათა საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ სტანდარტებს. ვმუშაობ, თუ კიდევ რა სიკეთე შეიძლება წამოვიღოთ საერთაშორისო სამართლიდან იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების თანასწორობა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი. ამ თემის მიმართ ინტერესი საჯარო უწყებებში მუშაობის დროს გამიმძაფრდა. 2012 წელს ჩვენს პროგრამაზე დავნერგე აღნიშნული კურსი, რომელიც ამ დროისთვის სამაგისტრო საფეხურზე იკითხება. ეს საკითხი აქტუალურია, რადგან საქართველოს მულტიკულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების დიდი ტრადიცია აქვს. პერიოდულად არის გამოწვევები, მაგრამ მჯერა, როდესაც ადამიანი შესაბამისი ცოდნით არის აღჭურვილი, მათ სწორად პასუხობს.

— თქვენთვის, როგორც საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორისთვის, რა არის მთავარი გამოწვევა?

— ჩემთვის დიდი პატივია, რომ კოლეგებმა ნდობა გამომიცხადეს და ეს საპატიო მისია მანდეს. ჩვენ შევთანხმდით, რომ ჩვენი გუნდის ჩართულობა ინსტიტუტის საქმიანობაში ინტენსიური და აქტიური იქნება. პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო ატმოსფერო გახსნილი იყოს ყველა იმ წამოწყებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ინსტიტუტის შემდგომ განვითარებას. საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან პატივი მერგო ვყოფილიყავი ბატონ ლევან ალექსიძის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე და ახლა უკვე მის მიერ დაფუძნებული ინსტიტუტის ხელმძღვანელი. ნამდვილად დიდი გამოწვევაა, რომ არა მხოლოდ შევინარჩუნოთ ის სახელი და ავტორიტეტი, რომელიც ბატონ ლევანს სიცოცხლის ბოლომდე ყოველდღიური შრომით ჰქონდა მოპოვებული, არამედ გავაძლიეროთ.

ქეთევან ჭკუასელი: უნივერსიტეტი გულსაბნევივით უნდა დაიბნიონ და ყველგან იამაყონ, რომ აქ მუშაობენ

მაია ტორაძე

პედაგოგების ოჯახში გაიზარდა, თუმცა მასწავლებლობა მისი მიზანი არასოდეს ყოფილა — ქიმიის მეცნიერებებით იყო დაინტერესებული და ჩააბარა კიდეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე... ახლა ამბობს, რომ თუ დღეს პედაგოგიკაში მოღვაწეობს და მთელი თავისი ცხოვრება მომავალი თაობის განათლებას მიუძღვნა, ეს ღვთის ნება იყო, რადგან ლაბორატორიაში მუშაობის დროს ისე მოიწამლა, სამუდამოდ აეკრძალა ქიმიურ ნივთიერებებთან შეხება და ცდებზე მუშაობა.

დღეს პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი **ქეთევან ჭკუასელი** *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელია.*

ქეთევან ჭკუასელი

პირველი გაკვეთილი

„ოჯახში ქიმიკოსი არავინ გვყოლია, ძირითადად ჰუმანიტარები იყვნენ. რადგანაც ოქროსმედალოსანი გახლდით და ყველა საგანს თანაბრად ვფლობდი, მინდოდა მათემატიკურზე ან ქართულ ფილოლოგიაზე ჩამებარებინა, მაგრამ მაშინ ქიმიის ბუმი იყო, ყველა კარგი მოსწავლე ქიმიურზე აბარებდა და მამამ, რომელიც ქიმიკოსებს უკითხავდა ლექციას უნივერსიტეტში, ეს სპეციალობა მირჩია. ასე გადავწყვიტე ქიმიკოსობა. ჩემს კურსზე მხოლოდ მედალოსნები მოხვდნენ. ძალიან ძლიერი კურსი მყავდა, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ მე მაინც არ ვიყავი კმაყოფილი — ყველაფერს ვსწავლობდი, ქიმიის გარდა და ზერელედ ვეკიდებოდი ამ საგანს. ალბათ იმიტომაც მოვიწამლე, რომ ლაბორატორიაში მუშაობაც არ ვიცოდი, გულით არ ვმუშაობდი და წესებს არ ვიცავდი. იმ საბედისწერო მოწამვლის შემდეგ ერთი გზა მრჩებოდა — პედაგოგობა, რითაც დავიწყე კიდეც ჩემი ბიოგრაფია და რაშიც ქიმია ძალიან დამეხმარა“, — ასე იხსენებს ქალბატონი ქეთევანი პირველ წლებს და იმ გაკვეთილზე გვესაუბრება, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა მისი მომავალი: „უნივერსიტეტში პრაქტიკა სერიოზულად ტარდებოდა. სწავლა წყდებოდა და სკოლებში მივდიოდით, სადაც დილიდან საღამომდე ვმუშაობდით — ნამდვილ პრაქტიკას გავდიოდით. პირველი გაკვეთილი 42-ე სკოლის მე-9 კლასში ჩავატარე. მახსოვს, როგორ ვღელავდი — შეშინებული ვიდექი კლასის წინაშე, მაგრამ, ალბათ, ოჯახიდან გამოყოლილმა მასწავლებლობის ფენომენმაც იმოქმედა და ძალიან კარგი გაკვეთილი გამოვიდა, იმდენად კარგი, რომ მკაცრი შემფასებელი, არაჩვეულებრივი პედაგოგი ქეთევან ტუსკიაც მოიხიბლა. იქ ოთხი გაკვეთილი ჩავატარე და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თუმცა, პირველი შიში მახსოვს“, — გვიამბობს იგი.

შემდეგ იყო უკვე ნამდვილი გაკვეთილები. 22 წლის ახალგაზრდამ მოახერხა და მოსწავლეთა ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა. ახლა ამბობს, რომ კმაყოფილია განვლილი გზით — იყო სკოლის მასწავლებელიც, მეთოდისტიც, სამმართველოს უფროსის მოადგილეც — ყველა ამ სტრუქტურამ თავისი კვალი დატოვა და თუ დღეს კარგად გრძნობს — რა სჭირდება განათლების სისტემას, სწორედ იმის დამსახურებაა, რომ პირდაპირ უნივერსიტეტის აუდიტორიიდან არ დაუწყია საქმიანობა.

პედაგოგიკა გასწავლის, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გქონდეს სტუდენტთან

სკოლა იმდენად შეუყვარდა, რომ მისი მიტოვება არც უფიქრია, ისე ჩააბარა ასპირანტურაში. ახლა ამბობს, რომ რამდენიმე გაკვეთილის ჩატარების შემდეგ იმდენად მოეწონა პედაგოგობა, ისე ააწყო ურთიერთობები მოსწავლეებთან, რომ მყარად გადაწყვიტა — ოჯახის ტრადიციებს გაჰყოლოდა და თავისი წვლილი შეეტანა განათლების მეცნიერებებში. „იცით ალბათ, რომ დიმიტრი უზნაძეს აქვს სერიოზული ნაშრომები პედაგოგიკაში. ის ამბობს, რომ საქართველოს მოსახლეობას, როგორც მცირე ერს, არ აქვს უფლება, რომ მხოლოდ მასობრივი განათლება ჰქონდეს — მისი განათლება უნდა იყოს „მასობრივი და ელიტარული“, ანუ ყველამ უნდა ისწავლოს და უნდა ისწავლოს კარგად — ელიტარულად. აი, ესაა ჩემი ამოსავალი წერტილიც — ამდენი წელია, უნივერსიტეტის მასწავლებელი ვარ და არ მინახავს ნაკლებად ნიჭიერი ქართველი ბავშვი. ეს გენეტიკური ნიჭია და რატომ უნდა დავკარგოთ? — გვეუბნება ქალბატონი ქეთევანი და ამით უკვე ნათელი ხდება, რომ მისი ძალისხმევა — ყველა სტუდენტს ერთნაირად შეუწყოს ხელი ხარისხიანი განათლების მიღებაში, სწორედ უზნაძისეულ თეორიას მიჰყვება, მას ეყრდნობა.

კითხვაზე, თუ რით იყო ადრინდელი უნივერსიტეტი გამორჩეული, რა ჰქონდა მას ისეთი, რაც ახლა აღარ აქვს, გვპასუხობს, რომ ადრე აქ თანამშრომლობის, კოლეგიალობის, ერთი საქმის ერთად კეთების სურვილი იგრძნობოდა და ყველა ერთად ისწრაფვოდა განათლების დონის ამაღლებისა და სტუდენტის ხელშეწყობისთვის: „აქ რაც იყო, ის აღარ არის. 53 წელია, რაც ვმუშაობ, უფრო ადრე გავხდი სტუდენტი და მეორე კორპუსში რომ შემოვიდოდი, თითქოს ჩემი სახლი იყო, სახლზე უკეთესიც. შემდეგ იყო ურთიერთობა თანამშრომლებთან არა მარტო კათედრაზე, სხვებთანაც. რაღაც ერთიანი სივრცე და ჰაერი იყო — ერთიანი სუნთქვა, რომელიც 2006 წელს დაინგრა. ყველაზე დიდი ნაკლი, რაც დღეს უნივერსიტეტს აქვს, არის ის, რომ უნივერსიტეტის პროფესორი რამდენიმე ადგილას მუშაობს და ახალგაზრდებს ვერ ვამაგრებთ. ვინც გავზარდე, ყველა სხვადასხვა ადგილებში მუშაობს, რომ ოჯახის რჩენა შეძლოს. არადა, სასწავლო დაწესებულებას არ უყვარს სხვაგან მოსიარულე ადამიანი. ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია, რაც დღეს ჩვენ გვაქვს და რაღაცნაირად ისეთი პირობები უნდა შევუქმნათ ახალგაზრდებს, რომ აქ დამაგრდნენ — ერთ ადგილზე. ჩემს ინსტიტუტში ეს მოვახერხე. ყოველთვის ვეუბნები მათ — რომ უნივერსიტეტი გულსაბნევივით უნდა დაიბნიონ და ყველგან იამაყონ, რომ აქ მუშაობენ, რადგან საბოლოოდ მაინც ამ უნივერსიტეტით შოულობენ სხვა სამსახურს. ჩვენმა უნივერსიტეტმა შეინარჩუნა კლასიკური ფუნდამენტი და ცდილობს, რომ ამაზე დააშენოს მომავალი. არ შეიძლება ამის დაკარგვა“, — ამბობს ქალბატონი ქეთევანი.

რა სჭირდება განათლების სისტემას?

„ეს ურთულესი თემაა და, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება ნება, რომელიც არ ჩანს“, — ქალბატონი ქეთევანი ათეულობით წლების ნაფიქრს გვიზიარებს: „გარდა ნებისა, მთავარი, რაც ამ სისტემას აკლია, არის კლასიკური დიდაქტიკური ჯაჭვი, რომლის პირველი კითხვა არის მიზანი — ვინ გვინდა, რომ აღვზარდოთ? თუ მიზანი არ გამოიკვეთა, არაფერი გამოვა. იაკობ გოგებაშვილს ძალიან მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული, რა სურდა იმ თაობას — აღეზარდათ ახალი ტიპის ქართველი, ანუ ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნის საჭიროებას დაინახავდა და იზრუნებდა. დღეს ეს არ ვიცით. შემდეგ მოდის შინაარსი — რა საგნები უნდა ასწავლო სკოლაში. მესამე და უსერიოზულესი საკითხია, თუ როგორ უნდა ასწავლო. ეს ის თემაა, რომელზე პასუხსაც ვერაფრით გადმოიტან უცხო ქვეყნიდან. ის ძალიან ბევრ კომპონენტს მოიცავს — მოიცავს პრინციპებს, მოიცავს მეთოდებს, შეფასებას — როგორია ქართველი ბავშვის ბუნება და როგორ გამოიწვევ ამ ბავშვის მოტივაციას. და ბოლოს, ვინ უნდა იყოს მასწავლებელი? სიმართლეს უნდა შევხედოთ თვალებში — ჩვენს სახელმწიფოს მასწავლებლისთვის არაფერი გაუკეთებია 25 წლის განმავლობაში. თუ გაკეთებას ორდღიანი ტრენინგების ჩატარებას ეძახიან და ამ ორ დღეში უნდათ ახალი სისტემა დაანახონ პედაგოგს, ეს არ არის ნება. საინტერესოა, ვინმემ დათვალა, აი, ახლა სად ვართ? ბავშვი რა დონეზეა? პედაგოგი? გამოცდის ჩაბარებას რომ ვთხოვთ, რამე ვასწავლეთ მასწავლებელს? მხოლოდ კვლევების შედეგები ხომ არ არის? ანაც — დავუშვათ, ვენდობი იმ საერთაშორისო კვლევებს, რომელიც მაჩვენებს, სად ვართ, მერე რა გავაკეთე, რომ წინ წავიწიო? ძალიან ბევრმა ქვეყანამ შეისწავლა ეს კვლევები, მერე დაჯდა, იფიქრა და გააუმჯობესა მდგომარეობა. ჩვენ? ვიფიქრეთ? გვაქვს ეს კლასიკური პედაგოგიკა, რასაც უნდა დაეყრდნო და გაათანამედროვო, ოღონდ ის ჯაჭვი არ უნდა დაკარგო, რაც კლასიკურ ფუნდამენტთან გაკავშირებს. ხე მარადიულია, ფოთლები კი ახალ-ახალი ამოდის. განათლებაც ასეა — მთავარ ღერძს უნდა მიაშენო სიახლეები. 21-ე საუკუნეში ქრება ცოდნის სტატუსი და ინფორმაციამდე დადის. ეს უკანასკნელი კი ცოდნა ვერასდროს იქნება. ცოდნა სხვა რამეა. იმ რაღაც უნარებს, რაც ადამიანში უნდა განვითარდეს, სწორედაც რომ ცოდნა იძლევა და არა ინფორმაცია“.

პედაგოგიკა და უნივერსიტეტი

უნივერსიტეტში პედაგოგიკის ინსტიტუტი დაარსების დღიდან — 1919 წლიდან არსებობს. უამრავი პერიპეტიის გავლის შემდეგ კი, 1933 წლიდან, ფუნქციონირება დაიწყო პედაგოგიკის კათედრამ, რომელიც ყველა ფაკულტეტს ცალ-ცალკე ემსახურებოდა და მასწავლებლებს ზრდიდა. 1960-იანი წლებიდან ქალბატონი ქეთევანიც ჩაერთო ამ პროცესში და სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს ქიმიკოსებთან, ფილოსოფოსებთან და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებთან. 1990-იან წლებში, რადგან ქვეყანაში ძალიან დიდი არეულობა იყო და უნივერსიტეტისთვის არავის ეცალა, უნივერსიტეტის საზოგადოებამ ამ თავისუფლებით ისარგებლა — მაშინ ძალიან ბევრი თანამედროვე პროგრამა შექმნა. მაგალითად, ვიდრე ბოლონიის პროცესს შევუერთდებოდით, პედაგოგიკის მიმართულებაზე შეიქმნა სამაგისტრო პროგრამები, ანუ მოთელვა — თუ როგორია საგანმანათლებლო სისტემა ქვეყნის გარეთ, უკვე გავლილი იყო. 2001 წელს ქეთევან ჭკუასელმა გახსნა რადიკალურად განსხვავებული მასწავლებლის მომზადების პროგრამა. ეს იყო 60-კრედიტიანი პროგრამა, რომელიც ან ძირითადი სპეციალობის პარალელურად, ან შემდეგ ასწავლიდა პედაგოგობის მსურველთ. ეს იყო ევროპული მოდელის შესაბამისი სწავლება. „წარმოიდგინეთ, რომ ეს ინიციატივა და პროგრამა დიდმა საბჭომ მიიღო. ძალიან დიდი ბრძოლა დაგვჭირდა, აგვეხსნა, რომ ყველა არ უნდა გახდეს მასწავლებელი და ეს უნდა იყოს არჩევითი. გავიტანეთ ეს 60 კრედიტიანი პროგრამა, რომელიც 2001 წლიდან არსებობდა უნივერსიტეტში და აბსოლუტურად თანამედროვე პროგრამა გახლდათ“, — ამბობს ქალბატონი ქეთევანი და იხსენებს, რომ დღეს უფრო მეტი წარმატება ექნებოდათ, რომ არა ავადსახსენებელი 2006 წელი...

„ჩემს მიმართულებაზე 12 შტატიდან 4 დატოვეს — ერთი სრული და სამი ასოცირებული პროფესორი. ამ ოთხი საშტატო ერთეულით უნდა აგვეშენებინა ახალი კათედრა. მაშინ დაიწყო ახალი პროგრამების წერის პროცესიც და ეს რესურსი არ იყო საკმარისი ამისთვის. ვერც გაბედავდი მაშინ გეთქვა, რომ შტატი გჭირდება. ამავე პერიოდში შეგვაერთეს ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან, რომლის დეკანი გახლდათ დარეჯან თვალთვაძე. ფაკულტეტის ქუდქვეშ 27 მიმართულებაა გაერთიანებული და მისი მენეჯმენტი ძალიან რთულია. მიუხედავად ამისა, ქალბატონმა დარეჯანმა ზუსტად გათვალა, რა სჭირდებოდა მიმართულებას. მე არც დამჭირდა თქმა, დამიძახა და მითხრა, შტატი უნდა დაგიმატოო. ასე შევივსეთ კიდევ ოთხი თანამშრომლით“, — გვიყვება ქალბატონი ქეთევანი და დასძენს: „ზოგადად უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში მუდმივად ვგრძნობდი ადმინისტრაციის და პირადად ყველა რექტორის თანადგომას იმ დიდი და რთული საქმის განხორციელებაში, რასაც მასწავლებლის მომზადება ჰქვია. ეს უნივერსიტეტს ყოველთვის გაცნობიერებული ჰქონდა. ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2014 წელს ბატონ ლადო პაპავას ინიციატივით მოხდა ახალი ფაკულტეტის — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნა, რამაც განათლების მიმართულების განვითარების აქცენტირებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. ამ ორი მიმართულების გაერთიანება უდავოდ მნიშვნელოვანი მომენტია დარგის განვითარების თვალსაზრისით“.

დღეს ამ საშტატო ერთეულებზე ქეთევან ჭკუასელის სტუდენტები მუ-

გვ. 13

დიახ, ესაა საქართველო

ნინო ჯაჯულია

სტატია ეძღვნება ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს. წერილი მომზადდა უნივერსიტეტის ისრაელის ცენტრის პრეზენტაციისათვის, რომელიც თსუ-ში გაიმართა.

კოტე წერეთელი

ჯემალ აჯიაშვილი

არის ასეთი ქვეყანა — მას საქართველო ჰქვია! — არაერთი ქართველი ებრაელი მსოფლიოს ამ სიტყვებით აცნობდა იმ ერთადერთ ქვეყანას — სადაც ებრაელობამ — დედამიწის ყველა კონტინენტიდან დევნილმა და ამ არაერთგზის ტანჯულმა ხალხმა — თავი ისე იგრძნო, როგორც სამშობლოში.

გასული საუკუნის დამდეგს, 1913 წელს, ფრანკფურტში, ებრაელთა ერთ-ერთ დიდ საერთაშორისო თავყრილობაზე, დელეგატები ერთმანეთზე უფრო შემზარავ ფაქტებს ჰყვებოდნენ თავიანთ ქვეყნებში ებრაელების დევნა-შევიწროების შესახებ. საქართველოდან ჩასულმა სასულიერო მოღვაწემ დავით ბააზოვმა უეცარი დისონანსი შეიტანა თურმე დამსწრე საზოგადოებაში და თვალებგაფართოებულ აუდიტორიას გაუგონარი სენსაცია ამცნო:

— ქვეყანა, საიდანაც მე ჩამოვედი, შორეულ კავკასიაშია. ეს არის ქვეყანა, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა რბევა. მის შვილებს არასოდეს აუწიოკებიათ ჩემი ხალხი და აგერ, ოცი საუკუნეა, ტკბილად და ძმურად ცხოვრობთო.

ეს იმდენად გამორჩეული განცხადება იყო, რომ კონფერენციის თავმჯდომარეს, გენერალ ლიფმონს კომენტარი საჯაროდ დაურთავს — ქართველ ერს შეუძლია ამაყად წარმოთქვას: „ჩვენც გვყავდა მეფეები, სამღვდელოება, მხედრობა, მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დევნა ფიქრადაც არ მოგვსვლია, ევროპის ძალებით დაქცეულ სისხლში ჩვენი ხელი არ გასვრილაო“. აი, ასეთია ქართველი ხალხი და მათი ის ქვეყანა, საიდანაც ჩვენი სტუმარი ჩამოვიდა! — უთქვამს ფრანგ გენერალს.

ამგვარი კონტექსტით საქართველო მსოფლიომ ბევრჯერ გაიცნო ქართველი ებრაელების მხრიდან მადლიერების გამოხატვის წყალობით...

როგორ გახდა მათი ეს მიწა

ძველი ქართული საისტორიო ნაწარმოებები ებრაელთა პირველი ტალღის გამოჩენას უკავშირებენ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობასა და განადგურებას. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სწორედ მის მიერ დევნილი ებრაელები მოვიდნენ ქართლში. იერუსალიმის დაცემა მოხდა ძვ.წ.-ით 586 წელს. იმიგრანტებმა მიმართეს მცხეთის გამგებელს — მიეცა მათთვის დასახლების უფლება, რისთვისაც შესაბამის თანხას გადაიხდიდნენ. მცხეთის გამგებელმა გაუწოდა დახმარების ხელი ამ უმწეო ლტოლვილებს და გამოჰყო მათთვის მდინარე არაგვის სანაპიროს ნაწილი. ასე გახდა მათი ეს მიწა. ელინისტურ ეპოქაში ქართლის ქალაქებში — მცხეთასა და ურბნისში უკვე არსებობდა „ებრაული რეგიონები“, სადაც ებრაული მოსახლეობა ცხოვრობდა. ანტიკური დროიდან მოყოლებული იქ ებრაელები ინარჩუნებდნენ თავიანთ საკულტო ცენტრებს, ეგრეთ წოდებულ „ებრაულ საკურთხevლებს“, სინაგოგებს.

უსამშობლოდ და უმიწაწყლოდ დარჩენილი ებრაელები არსად, არც ერთ ქვეყანაში, ხელცარიელი არ მისულან; მათ ყველგან მიიტანეს ბიბლია და მონოთეიზმის იდეა. გამონაკლისი არც საქართველო იყო.

როგორც ისტორიკოსი როლანდ თოფჩიშვილი ამბობს, „ებრაელები საქართველოში ყველაზე ძველად მოსული ერთ-ერთი ეთნიკური ერთობაა, რომლებმაც შეინარჩუნეს ეროვნული სარწმუნოება იუდაიზმი. თუმცა, 26 საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე ისე შეეწყვნენ ქართველებს, რომ მათ ქართველებისაგან მხოლოდ სარწმუნოება განასხვავებდა. იუდეველების დედაენა ქართული იყო“.

ქართულ წყაროებში ხაზგასმულია ებრაელთა განსაკუთრებული როლი საქართველოში მონოთეიზმის იდეის გავრცელებისა და საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. ცნობის თანახმად, მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია, ხოლო ქართველი ებრაელი ელიოზ მცხეთელი — ქრისტეს კვართის ჩამომტანი საქართველოში. ამავე ქრონიკაში ნათქვამია: ქალწულმა ნინომ, როდესაც ქართლში მოვიდა, პირველად ებრაელთა სინაგოგას მიაკითხა, რადგან მათი ენა, არამეული, იცოდა. იგი იქ რამდენიმე ხანს დარჩა და ამ ქვეყნის „ძალს განიცდიდა“.

ქართველ ქრისტიანთა და ებრაელთა მეგობრობა ქართლის მოქცევის შემდეგაც გაგრძელდა, რაც ბუნებრივია. შეუძლებელია, ქართველი ქრისტიანები გულგრილი დარჩენილიყვნენ იმ ღვაწლის მიმართ, რაც ებრაელებმა მათ ისტორიასა და მეხსიერებაში აღბეჭდეს. სწორედ ეს ისტორია და კოლექტიური მეხსიერება უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ძველ ქართულ სასულიერო-პოლემიკურ ლიტერატურაში, ანტიებრაული შინაარსის ორიგინალური თხზულებები არ იძებნება. (როგორც ამას საქართველოს საეკლესიო წარსულის უბადლო მცოდნე აკადემიკოსი — კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა).

ქართველი ებრაელების მონაწილეობა ქართულ საქმეში

მემატიანენი მიუთითებენ, რომ ქართლის იმდროინდელ მოსახლეობაში თანაბარი უფლებით გავრცელებულ ექვს ენას შორის ებრაულიც ყოფილა, თუმცა საქართველოს ებრაელობამ ადრევე შეითვისა ქართული ენა და იმთავითვე ეზიარა ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. ქართველებთან მათი ახლო კონტაქტები აისახა ქართულ ონომასტიკაშიც — ებრაელთა საკუთარ სახელებსა და გვარებში. ებრაელები უახლოეს წარსულში, კერძოდ 1918 წელს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის ფორმირებაშიც მონაწილეობდნენ. ქართველ ებრაელთა ლიდერებს ბეით ქნესეთის ოქროს მარაგის ნაწილი საქართველოს ხაზინაში შეუტანიათ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკური საფუძვლის განსამტკიცებლად. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა სამმა ებრაელმა (ელიგულაშვილმა, დავარაშვილმა და გოლდმანმა). ელიგულაშვილი მოგვიანებით, 1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში გაჰყოლია ექვთიმე თაყაიშვილს და ქართული განძეულობის გადარჩენის საქმეში მიუღია მონაწილეობა.

საქართველოში ანტისემიტიზმმა გასაქანი ვერასდროს ჰპოვა

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, „მეცნიერული“ ათეიზმის მძვინვარებისას, იუდაიზმის ტრადიციების რღვევის საქმეში კომუნისტურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი გარღვევა ვერ შეძლო და ეს ქართველი ხალხის დამსახურება იყო. ებრაელი ხალხის მიმართ მტრულმა დამოკიდებულებამ, ანტისემიტიზმმა, კულმინაციას ჰოლოკოსტის დროს მიაღწია. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ექვსი მილიონი ებრაელი მხოლოდ იმ მიზეზით მოკლეს, რომ ისინი ებრაელები იყვნენ. ჰოლოკოსტის მძიმე მემკვიდრეობის და ცივილიზებული სამყაროს მიერ მისი დაგმობის მიუხედავად, ანტისემიტიზმი არ გამქრალა. ებრაელების მიმართ დღემდე ხშირად გაისმის ბრალდებები, რომ ისინი აკონტროლებენ მსოფლიო ფინანსებს, ბანკებს, მედიას და არიან გლობალური შეთქმულების ნაწილი. ერთ-ერთი ამერიკელი კონგრესმენი სულ ახლახან წერდა „ტვიტერზე“ — „ისრაელს მსოფლიო ჰიპნოზის ქვეშ ჰყავს მოქცეულიო“. შეთქმულების ამ თეორიების ტყვეობაში არასდროს გახვეულა საქართველო.

რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა გამუდმებით ცდილობდა დაეპირისპირებინა ებრაელი და ქართველი მოსახლეობა. ბავშვების ურიებით შეშინებაც რუსული ნარატივია. მიუხედავად ამისა, საქართველოში ანტისემიტიზმმა გასაქანი ვერასდროს ჰპოვა. ამიტომაც, სხვა რამ ახსოვთ ქართველ ებრაელებს იმ წარსულიდან, რაც მათ საქართველომ მისცა. მაგალითად, ის, თუ როგორ აქტიურად გამოდიოდა ქართველი ინტელიგენცია რუსეთის მთავრობის მიერ ებრაელთა განათლების თუ სხვა უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის ბოლოს; როგორ გამოხატავდნენ ებრაელთა მიმართ თანაგრძნობას თავიანთ ნაწარმოებებში ცნობილი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე, იროდიონ ევდოშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი; როგორ იცავდა ებრაელებს სახელმწიფო დუმაში ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ევგენი გეგეჭკორი. მოგვიანებით, 1960-70-იან წლებში, საბჭოთა კავშირში პირველმა სწორედ საქართველოს ებრაელობამ შეძლო კომუნისტური „რკინის ფარდის“ გარღვევა. 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ალიასთვის — ისრაელში დაბრუნებისთვის. ეს ისტორიული სამშობლოსადმი ებრაელობის ლტოლვით აიხსნებოდა და არა საქართველოში მათი რაიმე სახის დისკრიმინაციით. დიდი გმირობა იყო მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელზე ქართველ ებრაელთა 18 ოჯახის მიერ გაგზავნილი მიმართვა და მათი ბრძოლა ისრაელში დაბრუნების უფლების მოსაპოვებლად. როცა საბჭოთა კავშირში ზღვარდაუდებელი ანტიისრაელური კამპანია იყო გაჩაღებული, საქართველოდან შედარებით უმტკივნეულოდ ხდებოდა ებრაელების რეპატრიაცია. ებრაელებს თავად შეეძლოთ არჩევანი გაეკეთებინათ — დარჩენილიყვნენ თუ ისრაელის სახელმწიფოს მშენებლობაში უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა. ბევრი დარჩა, ბევრიც წავიდა.

ქართული ტრადიციული დამოკიდებულება ებრაული ფენომენისადმი სულ უფრო და უფრო იწვევდა გაოცებას მსოფლიოში. აი, რას ყვებოდა ჟურნალისტ არმაზ სანებლიძესთან ინტერვიუში ცნობილი პოეტი და მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილი: — „მე მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ, რომელიც 1979 წლით თარიღდება. იმ

გვ. 9

დიახ, ესაა საქართველო

მე-8 გვ-დან

გურამ ლორთქიფანიძე

წლებში საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იყო ნუგზარ ფოფხაძე. მაშინ მომზადდა და ეთერში გავიდა თითქმის საათიანი გადაცემა ჩემ მიერ თარგმნილ შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაზე. მახსოვ, ეს მოხდა „პერესტროიკამდე“ 5-6 წლით ადრე. ამას მოჰყვა სასწაული გამოხმაურება გაზეთ ნიუ იორკ ტაიმსში , გადაცემიდან ორი კვირის შემდეგ. ნიუ იორკ ტაიმსი წერდა: — ეს იყო 1979 წლის გაუგონარი ტელესანახაობა საბჭოთა კავშირის ისტორიაში. ეს იყო 50-წუთიანი ტელეპროგრამა შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაზე. საჩვენებელი დრო საგანგებოდ იყო შერჩეული — საღამო, როცა ყველაზე მეტი მაყურებელი უზის ტელეეკრანებს. მთელი გადაცემა გამსჭვალული იყო ებრაული კულტურის, რელიგიისა და ეროვნული ტრადიციების მიმართ უაღრესი პატივისცემითა და სიმპათიით. მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ საქართველოს ლოკალურ არხზე, რაც მიუთითებს საქართველოს ებრაელთა განსხვავებულ მდგომარეობაზე“, — ჯემალ აჯიაშვილის ეს გახსენებაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო ბევრჯერ გამხდარა მსოფლიოსთვის მოკარნახე ქვეყანა, როგორც სხვა ეთნიკური წარმომავლობისა და აღმსარებლობის მქონე ერების მიმართ ტოლერანტული და მეგობრული სახელმწიფო. — ეს ჩვენი სავიზიტო ბარათია, შეიძლება ასე ითქვას, რომელსაც ხელს ქართველი ებრაელებიც აწერენ.

აი, რას ამბობს ჩვენთან საუბარში კლუბ „26 საუკუნის“ ხელმძღვანელი, თბილისის საპატიო მოქალაქე ზაირა დავარაშვილი ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობაზე: „დღეს, როდესაც სახელმწიფოს პირველი პირი სანთელს გვინთებს ხანუქის დღესასწაულზე; დღეს, როდესაც უამრავი ორგანიზაცია და ღონისძიება ემსახურება ქართულ-ებრაულ მეგობრობას; როდესაც თამრიკო ჭოხონელიძე ასე ლამაზად მღერის ებრაულადაც ქართულ იავნანას, რომელზეც ჩვენ ყველა გავიზარდეთ (ეს ტექსტი, სხვათა შორის, ჩემი თარგმნილია); დღეს, როდესაც ხარაგაულის თეატრის მსახიობი და რეჟისორი იზა ვეფხვაძე ერთ-ერთი მონო-სპექტაკლით — „ამ სიყვარულით შევცვლით სამყაროს“ — უმღერს ჩვენს ურთიერთობას და მეგობრობას; როცა ისრაელში ქართული სახლი იხსნება; როცა ისრაელში სოლომონ ბრძენისა და დავით მეფის სახელებს არქმევენ ქუჩებს, უნებურად გახსენდება ამ ორი ერის შვილის — ჯემალ აჯიაშვილის სიტყვები: „ალბათ, ქართულ-ებრაულ სიყვარულსა და თანადგომაშია ის შეფარული მისტერია, 21 საუკუნის დაღლილ კაცობრიობას სასიცოცხლო დვრიტად რომ გამოადგება“, — არ შეიძლება ამ სიტყვებს არ დაეთანხმო“.

უნივერსიტეტი ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კონტექსტში

ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კონტექსტში აქტუალური და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გახადა ცნობილმა ებრაისტმა კოტე წერეთელმა, რომელმაც ებრაული ენის სწავლებას უნივერსიტეტში საფუძველი 1944 წელს ჩაუყარა. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა მსოფლიოში საშინელი ანტისემიტიზმი მძვინვარებდა და ებრაელების დამნდობი დუნიაზე არავინ ჩანდა ქართველების გარდა...

აღმოსავლეთმცოდნე, საქართველოში ებრაისტიკა-არამეისტიკის ფუძემდებლის კოტე წერეთლის ინიციატივით, 1991 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ებრაული არამეული ფილოლოგიის კათედრა, რომელსაც იგი უცვლელად ედგა სათავეში. ჯერ კიდევ 7 წლის ყოფილა, როცა ქუთაისში ებრაელთა დასახლება დაიწვა და კოტე წერეთელი თურმე თანატოლებთან ერთად დადიოდა ქუჩაში, სადაც ხალხს ებრაელთა დახმარებას სთხოვდა. დღეს კოტე წერეთელი არამეული დიალექტოლოგიის მამამთავრად ითვლება. მისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის ღერძი არამეისტიკა და ებრაისტიკა იყო. როგორც აღმოსავლეთმცოდნე, ებრაისტი თამარ მახარაშვილი იხსენებს, როდესაც ქართველმა ებრაელობამ კოტე წერეთელს ისრაელში მოუწყო საღამო, მაშინდელი ისრაელის პრემიერ მინისტრი და თავდაცვის მინისტრი ეფრაიმ სნეც ესწრებოდნენ ამ საღამოს. „ეფრაიმ სნემ მიმართა კოტე წერეთელს და თქვა ასეთი საოცარი ფრაზა — მეგონა, რომ ვარ ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გავაკეთე ჩემი ქვეყნისთვის, ისრაელისთვის. დღეს, ბატონო კოტე, ძალიან ცუდ ხასიათზე დამაყენეთ და იცით რატომ? აღმოჩნდა, რომ ჩვენგან შორს, საქართველოში ცხოვრობს ადამიანი, რომელიც იმაზე მეტი წელი ემსახურა ებრაული ენის და კულტურის პროპაგანდას უცხო ქვეყანაში, ვიდრე ჩემი ასაკია“.

კოტე წერეთელის სახელის გვერდით ის, ვინც ქართულ-ებრაული ურთიერთობების საქმეში ასევე დიდი წვლილი შეიტანა, შეიძლება დავასახელოთ უნივერსიტეტელი, ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგი გურამ ლორთქიფანიძე. სწორედ მისი ინიციატივითა და ისრაელის საელჩოს თანადგომით შეიქმნა 2008 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისრაელის სამეცნიერო ცენტრი. ცენტრის მიზანი იმთავითვე იყო ებრაული კულტურის, ტრადიციების, ისტორიის, ასევე, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მიღწევების მაქსიმალური პროპაგანდა. ცენტრის ეგიდით გამოიცა რამდენიმე კრებული, რომელიც სწორედ ისრაელის სახელმწიფოს კულტურულ ისტორიას მიმოიხილავს. ადრეულ წლებში ეს ცენტრი უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა „იუდაიკის კაბინეტის“ სახელწოდებით, რომელსაც იმთავითვე ხელმძღვანელობდა გურამ ლორთქიფანიძე. „იუდაიკის კაბინეტი“ დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობდა ამერიკის ებრაელთა მსოფლიო სააგენტო „ჯოინთთან“. მათი მხარდაჭერით ხორციელდებოდა სხვადასხვა კვლევებისა და კონფერენციების ჩატარება, რომელიც ყოველთვის ასახავდა ქართულ-ებრაული ურთიერთობების კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას და ასევე ამ ორი ერის სამომავლო ხედვებსა და კონტაქტებს. 2018 წლის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა ქართველ ებრაელებთან დაკავშირებული საარქივო მასალების მოძიება და გამოიცა კიდეც მონოგრაფია სახელწოდებით — „ქართველი ებრაელები“.

ის, რომ ქართულ-ებრაულ ურთიერთობას იუნესკოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი შეიძლება უახლოეს მომავალში მიენიჭოს, საუკუნის ქართველ ებრაელად აღიარებული ჯემალ აჯიაშვილის დამსახურებაცაა. ცნობილი პოეტი და მთარგმნელი ჯემალ აჯიაშვილიც უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული და მას რამდენიმე თვის წინ უნივერსიტეტმა ფართომასშტაბიანი იუბილეც გადაუხადა. სწორედ ამ იუბილეზე გაამჟღავნა ცნობილმა კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა ორი ერის უნიკალურ მეგობრობაზე მესიჯები.

„ქართულ-ებრაული მეგობრობა ცალკე სიბრტყეზე სასაუბრო ფენომენია, რომელსაც ბადალი არ ჰყავს. ალბათ, ყველამ იცის, რომ ჩვენ ეროვნული კატეგორია მოგვანიჭა პრემიერმა. იუნესკოდან ველოდებით ინფორმაციას, რომ ჩვენ მივიღოთ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, რაც იქნება უპეცენდენტო რამ მთელ მსოფლიოში. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი.

საქართველო ტოლერანტობით რომ მსოფლიო ჩემპიონია, ყველას მოგეხსენებათ. მე, როგორც სპორტული კომენტატორი, ხშირად ვიძახი, ოლიმპიური ჩემპიონატი რომ ჩატარდეს ტოლერანტობაში, საქართველო იქნება ოქროს მედლების უკონკურენტო პრეტენდენტი. არ დამავიწყდება, 1944 წელს, როცა მძვინვარებდა ანტისემიტიზმი და საკონცენტრაციო ბანაკებში ასეულ ათასობით ებრაელი იხოცებოდა, მაშინ სათაყვანებელმა მეცნიერმა კოტე წერეთელმა დააარსა ებრაისტიკის კათედრა უნივერსიტეტში. ეს იყო ქართულ-ებრაული მეგობრობის განმტკიცებისათვის. მე კოტე წერეთელთან ერთად ვიყავი კომისიაში 1998 წელს, როცა შევარდნაძის ინიციატივით ჩატარდა ქართულ-ებრაული მეგობრობის 26 საუკუნოვანი იუბილე. შემდეგ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით ჩატარდა ეს იუბილე განმეორებით 2014 წელს... არის ქვეყნები, სადაც დღესაც ანტისემიტური შეთქმულება არსებობს და ბევრს შურს იმისი, რაც ხდება საქართველოში ამ ორი ერის მეგობრობის შესახებ“, — განაცხადა ჯამლეტ ხუხაშვილმა.

* * *

როდესაც წმიდანად შერაცხული გრიგოლ ფერაძე ოსვენციმის ბანაკში გადაიყვანეს, ერთ მრავალშვილიან ებრაელს ფაშისტებმა გაზის კამერა გამოუტანეს განაჩენად. მამა გრიგოლს შებრალებია ეს კაცი, მისი სასჯელი თვითონ აუღია თავზე და მის მაგივრად შესულა გაზის კამერაში. მაგალითები ბევრია, რომელთაც ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორია ინახავს და ამ ისტორიის ბოლო ფურცელს ბოლო არ უჩანს... არ მთავრდება ამბები, რომელთაც თავად ქართველი ებრაელები ყვებიან...

სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების აღმნიშვნელ ებრაულ დღესასწაულზე დანთებული სანთლების ჩაქრობა ხელით არ შეიძლება. ისინი თავად უნდა ჩაქრნენ — გვიხსნის ზაირა დავარაშვილი და გვეუბნება: — „რამდენ ქვეყანაშიც ჩავსულვარ, ყველგან საქართველოზე ვლაპარაკობ. დიდ რუკაზე უცხოელთა თვალები იმ პატარა წერტილზე ფოკუსირდება, სადაც თბილისი წერია — და ყველას ვუხსნით — ამ პატარა ქვეყანამ რა მოგვცა, რა გაგვიკეთა და რომ, დიახ — ესაა საქართველო!“

თსუ-ის ისრაელის ცენტრი ახალი პროექტების განხორციელებას გეგმავს

შერთხია ბეროშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ისრაელის ცენტრის სამომავლო გეგმების პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაფთაი ცური, საქართველოს პარლამენტის წევრი მარიამ ჯაში, პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„თსუ-ის ისრაელის ცენტრი 19 წლის განმავლობაში იყო ადგილი, სადაც განიხილებოდა ქართულ-ებრაულ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები და ბევრი მნიშვნელოვანი თემის განხილვა, რაც ხელს უწყობდა ქართულ-ებრაული ურთიერთობების წინ წამოწევას. ებრაისტიკის ცენტრი მრავალი წლის განმავლობაში უკავშირდებოდა პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის სახელს. მნიშვნელოვანია, რომ მისი დაწყებული საქმე ღირსეულად გავაგრძელოთ. ისრაელის სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენი ურთიერთობა უფრო გაღრმავდეს, რაც გულისხმობს ერთობლივი კვლევების გაფართოებას, საერთო სამეცნიერო პროექტების მომზადებასა და განხორციელებას“, — განაცხადა პრეზენტაციაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ-ის ისრაელის ცენტრის სამომავლო გეგმების პრეზენტაცია მკვლევარმა თამარ მახარაშვილმა წამოადგინა. მისი ინფორმაციით, ცენტრის ეგიდით იგეგმება სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით მუშაობა როგორც ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე, ასევე, განხორციელდება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები. „თსუ ისრაელის ცენტრის ეგიდით დაგეგმილია შემეცნებითი ფილმების მომზადება, რათა საზოგადოებას ის ქართველი ებრაელები გავაცნოთ, რომლებმაც ამ ორ ერს შორის ურთიერთობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს. ამასთან, ამოქმედდება ენის შემსწავლელი მოკლევადიანი კურსები, რომელზეც დიდი მოთხოვნაა, გაფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, მათ შორის, ლიტერატურული კონკურსების და ბანაკების ორგანიზება, რომელთა მიზანია ისრაელში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებს გავაცნოთ საქართველო“, — აღნიშნა ცენტრის მკვლევარმა.

ისრაელის ელჩი საქართველოში ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა თსუ-ის ისრაელის ცენტრთან, რაც გაცხადდა კიდევ ბატონი შაფთაი ცურის სიტყვით გამოსვლაში: „როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1944 წელს ჩაეყარა საფუძველი ებრაული ენის სწავლებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ურთულესი პერიოდი ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. შემდეგ შეიქმნა ეს ცენტრიც. ბოლო 10 წლის განმავლობაში ცენტრს გურამ ლორთქიფანიძე იაკო ოფირთან ერთად ხელმძღვანელობდა. სასიხარულოა, რომ ისრაელის ცენტრი კვლავ აქტიურად აგრძელებს საქმიანობას და, ამავდროულად, ახალი პროექტების განხორციელებას გეგმავს, რაც ქართულ-ებრაული ურთიერთობების გაღრმავების მხრივ კიდევ ერთხელ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ისრაელის საელჩოს სახელით მადლობა გვინდა გადავუხადოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ცენტრის თანამშრომლებს, რომლებიც ამ ურთიერთობის გაღრმავებას ხელს უწყობენ“, — აღნიშნა ელჩმა.

ღონისძიების ძირითადი ნაწილი ისრაელის ცენტრის განვითარების პროექტის განხილვას დაეთმო. ცენტრის თანამშრომლები სამეცნიერო-სასწავლო პროექტებთან ერთად კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ახალი ციკლის დაწყებას გეგმავენ.

გამოხმაურებები და შეფასებები ფილმზე — „დიახ, ესაა საქართველო!“

ღონისძიებაზე თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას მიერ გადაღებული ფილმის — „დიახ, ესაა საქართველო“ პრეზენტაცია შედგა, რომელიც ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს ეძღვნება. ფილმმა აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა, რაზეც ინტერვიუერთა შეფასებებიც მეტყველებს:

შაფთაი ცური, ისრაელის ელჩი საქართველოში:

„ფილმი საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით: პირველ რიგში, ფილმში მაღალ დონეზეა შეჯამებული ქართველი და ებრაელი ხალხის 26 საუკუნოვანი ურთიერთობა. რეჟისორმა საკმაოდ ოსტატურად მოახერხა გადმოეცა ეს ისტორია წარსულიდან დღემდე. ამგვარ ფილმებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისითაც, რომ არ დავივიწყოთ წარსული. მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის რექტორს გიორგი შარვაშიძეს და მთელ შემოქმედებით ჯგუფს, რომელთაც ფილმის შექმნაში თავისი წვლილი აქვთ შეტანილი“.

ჯამლეტ ხუხაშვილი, კომენტატორი:

„ფილმი, რომელიც დღეს ჩვენ ვნახეთ, შეგვიძლია მივაკუთვნოთ როგორც მხატვრულ, ისე დოკუმენტურ ჟანრს, მაგრამ, რაც მთავარია, აქ ნაჩვენებია ის ისტორია, რომელიც ამ ორ ხალხს ერთმანეთთან აკავშირებს. ფილმი საინტერესო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში მოთხრობილი ზოგიერთი მოვლენა თუ ნიუანსი არც თუ ისე ნაცნობი გახლდათ აქამდე ფართო საზოგადოებისთვის. ფილმი გენიალურია მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ის ქართულ-ებრაულ მეგობრობას ეძღვნება, არამედ იმიტომაც, რომ ის ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ტოლერანტობა. ფილმი კარგადაა შეკრული. ჩემი აზრით, ეს ფილმი უნდა ითარგმნოს და მთელმა მსოფლიომ ნახოს. ფილმის რეჟისორის და მთხრობელის ნინო კაკულიას პროფესიონალიზმი მომეწონა. ავტორმა კიდევ უფრო მეტი ხიბლი შესძინა ისტორიული მნიშვნელობით ისედაც მნიშვნელოვან ფილმს და ვულოცავ მას და შემოქმედებით ჯგუფს ამ წარმატებას“.

მარიამ ჯაში, პარლამენტის წევრი:

„დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მორიგი არაჩვეულებრივი ფილმი წარმოგვიდგინა. ქალბატონ ნინო კაკულიას პირადად მინდა დიდი მადლობა გადავუხადო. აღსანიშნავია, რომ მისი ავტორობით არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტური ფილმი შეიქმნა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარსულს, აქ მოღვაწე გამოჩენილ პიროვნებებს მიეძღვნა. მადლობა, ასევე, უნივერსიტეტის რექტორს, რომ ასეთი კულტურული ღონისძიებების გამრავალფეროვნებასა და ფილმების შექმნას უწყობს ხელს — ეს კარგი საქმეა“.

თამარ მახარაშვილი, თსუ-ის ისრაელის ცენტრის მკვლევარი:

„შეიძლება ითქვას, რომ ფილმი საკმაოდ ტევადია ინფორმაციით, ყველა ძირითადი ასპექტი გაშუქებულია და, ალბათ, ყველაზე კრიტიკულ მაყურებელსაც კი არ დაუტოვა კითხვის ნიშნები. ამ ფილმით მოთხრობილია არა მხოლოდ ებრაელთა ისტორია, არამედ ზუსტად არის აღწერილი — როგორ შემოვიდნენ ებრაელები საქართველოში და როგორ ვითარდებოდა ჩვენი ურთიერთობა. ამ ყველაფერს წინ უძღვის სიყვარული ამ ორ ერს შორის, სხვანაირად ეს ფილმი ასეთი შთამბეჭდავი არ იქნებოდა“.

ზაირა დავარაშვილი, კლუბ „26 საუკუნის“ ხელმძღვანელი:

„ბოლო დროს ბევრი ფილმი შეიქმნა ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე, თუმცა ეს ფილმი სრულიად განსხვავებული იყო თავისი შინაარსით და ლაკონურობით. რეჟისორი მადლობას იმსახურებს“.

ნინო გელოვანის ახალი სახელმძღვანელო — „სატელევიზიო სერიალის სპეციფიკა“

შერთხია ბეროშვილი

„სატელევიზიო სერიალის სპეციფიკა“ — ასე ჰქვია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ტელე-კინო ხელოვნების მიმართულების პედაგოგის, რეჟისორის და პროდიუსერის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის ნინო გელოვანის ახალ სახელმძღვანელოს, რომელიც ახლახან თსუ-ის გამომცემლობამ გამოსცა.

რამ განაპირობა და რა ფაქტორებით იყო განპირობებული წიგნის შექმნის იდეა, ამაზე თავად ავტორი, ნინო გელოვანი გვესაუბრება: „XX საუკუნეში სერიალი სატელევიზიო მედიაპროდუქციის დომინანტი გახდა. სერიალები მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალრეიტინგულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ჟანრის მიმართ მოთხოვნა გაზრდილია, რაც გარკვეული ფაქტორებით არის გამოწვეული, პირველ რიგში კი იმითაც, რომ სერიალებში გადმოცემული ამბავი უფრო მეტად უახლოვდება ცხოვრებისეულ რეალობას. წიგნი — „სატელევიზიო სერიალის სპეციფიკა“, როგორც თეორიული ნაშრომი, გარკვეული ხედვის საფუძველზე ჩამოყალიბდა“.

ნინო გელოვანის თქმით, ტელესერიალი ეს არის მხატვრული ან დოკუმენტური პროდუქტი, რომელიც ჟანრობრივად განსხვავებულია — (ეს შეიძლება იყოს დრამა, კომედია, ისტორიული თუ დღევანდელობის ამსახველი მასალა), სადაც მთავარია დინამიკა, რომელიც მაყურებელს პირველივე სერიიდან ითრევს და „აიძულებს“ — მომდევნო სერიებსაც უყუროს. „საქართველოში სერიალები 90-იან წლებში შემოიჭრა ქართულ ბაზარზე და მას შემდეგ მზარდი პოპულარობით სარგებლობს. სატელევიზიო სერიალები მასობრივი კულტურის ნაწილია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე სატელევიზიო სივრცეში. გარდა ამისა, ტელესერიალს, იდეოლოგიურთან ერთად, მრავალი სხვა ფუნქციაც აქვს შეთავსებული: მას შეუძლია მაყურებლამდე მიიტანოს კვაზიკომუნიკაციური (წარმოსახვითი, მოჩვენებითი) ღირებულებები“, — ამბობს წიგნის ავტორი.

ნინო გელოვანის თქმით, საქართველოში სატელევიზიო სერიალების სპეციფიკის შესახებ ლიტერატურა მწირია. ამ კუთხით არც შესაბამისი კრიტიკა არსებობს. ამიტომ დაიბადა ამ წიგნის შექმნის იდეა. „ნაშრომში განხილულია სატელევიზიო სერიალის კლასიფიკაცია, მისი განვითარების ეტაპები, მარკეტინგული თუ სოციალური დანიშნულება. ტელესერიალი, როგორც სატელევიზიო პროდუქტი, იქმნება სოციუმის გარკვეული სეგმენტისთვის და, როგორც ფენომენი, გავლენას ახდენს ამ სოციუმზე. ტელესერიალზე მუშაობის პროცესის შესასწავლად აკადემიურ ლიტერატურასთან ერთად დავეყრდენი ემპირიულ კვლევას, რომელიც ადვილად გასაგები იქნება როგორც პროფესიონალებისთვის, ისე არაპროფესიონალებისთვის და გათვლილია სასწავლო კურსისთვის“, — აცხადებს ნინო გელოვანი.

ნინო გელოვანი

რატომ უნდა სწავლობდეს სატელევიზიო სერიალების სპეციფიკას სტუდენტი? — ამ კითხვაზე ნინო გელოვანი ამბობს, რომ დღევანდელ პირობებში, სადაც სატელევიზიო სივრცეში თუ ინტერნეტში სერიალების „ბუმია“, ამ ჟანრმა სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა შეიძინა. ამიტომ დარგობრივი სპეციალისტისთვის ამ სფეროს შესწავლა მნიშვნელოვანია: „ჩემი, როგორც პედაგოგის, ძირითადი მოვალეობაა რეჟისურა ვასწავლო, მათ შორის, სერიალის რეჟისურაც, რომელსაც თავისი სპეციფიკა აქვს. თანამედროვე მედეასივრცე მთელ მსოფლიოში დიდ დროს უთმობს სერიალებს, რადგან ეს მომგებიანი პროდუქტია და მას ბევრი მაყურებელი ჰყავს“, — ამბობს ნინო გელოვანი.

როგორ ხდება სერიალის გადაღება და რა პროცესები უძღვის ამ რთულ სამუშაოს წინ, ამის შესახებ რეჟისორს მთელი თავი აქვს მიძღვნილი თავის

გვ. 14

მსოფლიო ექიმთა ასოციაციის 70-ე გენერალური ასამბლეა თბილისში

ნაბო ობოლაძე

საქართველოს ექიმთა ასოციაციამ მსოფლიო ექიმთა ასოციაციის (WMA) საიუბილეო, 70-ე გენერალურ ასამბლეას უმასპინძლა. გახსნის ცერემონიალზე ყველა კონტინენტის 100-ზე მეტი ქვეყნის 300-მდე დელეგატმა ექიმის ფიცი (ჟენევის დეკლარაცია) ახალი რედაქციით, ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე ერთობლივად წაიკითხა. საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველი ქვეყანაა, სადაც მსოფლიო ექიმთა ასოციაციის გენერალური ასამბლეა გაიმართა. საზეიმო მიღება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოეწყო, ასამბლეის სხდომები სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მიმდინარეობდა, ახალგაზრდა ექიმთა სემინარები კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. საქართველოს ექიმთა ასოციაციის ორგანიზებით მოწვეული 300-მდე უცხოელი მედიკოსისთვის ძველ თბილისსა და ქალაქ მცხეთაში ტურისტული ტურები მოეწყო. მსოფლიო ექიმთა ასოციაციის დელეგატებმა ქართული ფოლკლორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების შესრულებით გაიცნეს, სტუმრებისთვის რამდენიმე სიმღერა შეასრულა უნივერსიტეტის კაპელამაც.

მსოფლიო ექიმთა ასოციაციის გენერალურ ასამბლეაზე დელეგატები საკუთარ ქვეყანაში, სამედიცინო სფეროში არსებულ პრობლემატიკას და მათ გადასაჭრელად შემუშავებულ კანონპროექტებს წარადგენენ. იმართება ერთობლივი განხილვები (კომიტეტებში და საბჭოში) და შემუშავებულ რეკომენდაციებს კენჭს გენერალურ ასამბლეაზე უყრიან. მიღებული რეზოლუციები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში (WHO) იგზავნება, რაც ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისთვის, უმეტეს შემთხვევაში, სავალდებულო ხასიათისაა. რეკომენდაციებში, მსოფლიოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, კონკრეტული მითითებებია ასახული.

„ეს კვირეული ძალიან მნიშვნელოვანია. აქ ჩვენ განვიხილავთ მედიცინის ეთიკის საკითხებს. შეხვედრის ფარგლებში ვცდილობთ გავუზიაროთ ერთმანეთს ცოდნა და დავეხმაროთ როგორც ქართველ, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მედიკოსებს. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა, რათა მსოფლიო მედიცინა წინ წავიდეს და, შესაბამისად, კაცობრიობამ სამედიცინო მომსახურების სფეროში თავი უკეთ იგრძნოს“, — განაცხადა მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტმა მიგელ ჟორჟემ.

„ჩვენ არაერთი წარმატებული დღე გვქონია საქართველოს ექიმთა ასოციაციასთან ურთიერთთანამშრომლობის განმავლობაში და ეს კვირეულიც, დარწმუნებული ვარ, ისტორიაში წარმატებულად ჩაიწერება. უნდა აღვნიშნო, რომ ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია არა მარტო თქვენი ქვეყნისთვის, არამედ იმ ქვეყნებისთვისაც, რომელთა წარმომადგენლები აქ იმყოფებიან. მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა და თქვენს უმშვენიერეს ქალაქს ვესტუმრე“, — აღნიშნა მსოფლიო ექიმთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ოტმარ კლოიბერმა.

„მსოფლიო ექიმთა ასოციაციის გენერალური ასამბლეა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, პირველად ტარდება და ძალიან მაღალ დონეზეა ორგანიზებული, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ორგანიზატორებს. ეს ღონისძიება აუცილებლად შეუწყობს ხელს ქართველი მედიკოსების ჩართვას ექიმების მსოფლიო თანამეგობრობის აქტივობებში. თანამედროვე მედიცინა გლობალური მედიცინაა, რომელიც თითოეული ექიმისგან მუდმივად მოითხოვს ცოდნისა და განათლების ამაღლებას, აქტიურ საერთაშორისო კონტაქტებს, ამიტომ ამ ტიპის შეხვედრები აუცილებლად სასარგებლო აღმოჩნდება საქართველოში მოღვაწე ექიმებისთვის“, — განაცხადა მსოფლიო ექიმთა ასოციაციის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეონიდ ეიდელმანმა.

საქართველოში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე 300-მდე მედიკოსი ადამიანებისა და ცხოველების ვაქცინაციის, ადამიანების ჯანმრთელობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის, პალიატიური მედიცინის, ექიმთა ეთიკის, ევთანაზიის, ანტიბიოტიკებისამი რეზისტენტობის საკითხებზე და ა.შ. მსჯელობდა. დელეგატებმა მედიცინის გასავითარებლად დამატებით რამდენიმე პრობლემაზე იმსჯელეს (მათ შორის პალიატიურ მედიცინაში), რომელთა შემდგომი განხილვა და რეზოლუციის მიღება მომდევნო გენერალურ ასამბლეაზეა დაგეგმილი ესპანეთში.

„მსოფლიო ექიმთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის კვირეულის ფარგლებში გამართული კომისიებისა და კომიტეტების სხდომებზე წარმოდგენილი იყო ასოციაციის სამოქმედო პროცედურული საკითხები, ეთიკური სანქციები, რომლებიც ექიმების ან ექიმთა ჯგუფების მისამართით ხორციელდება; ვიმსჯელეთ ადამიანთა და ცხოველთა ინექციებისა და აცრების მნიშვნელობაზე; განვიხილეთ გლობალური ჯანმრთელობის ხელშემწყობი ფაქტორები... აღნიშნულ საკითხებს საბოლოოდ გენერალურ ასამბლეაზე ვამტკიცებთ. ერთ-ერთი აქტუალური თემა იყო ევთანაზია. ვიმსჯელეთ, თუ რამდენად არის მისაღები, რომ ევთანაზიის პროცედურისას ექიმმა „ასისტენტობა“ გასწიოს. ეს თემა განსახილველად რამდენიმე ქვეყნის ექიმთა ასოციაციამ შემოიტანა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მსგავსი ფაქტი დაუშვებელია და ეთიკის ნორმებს ეწინააღმდეგება. დიდი ყურადღება დაეთმო აცრების საკითხს, რადგან, როგორც საქართველოში, ასევე, ევროპის ბევრ ქვეყანაში, უკანასკნელ წლებში, გრიპის ვირუსებითა და წითელათი დაინფიცირების ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა. აქტუალურია ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა, რომელიც დღეს მეტად პრობლემური გახდა მსოფლიოში, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. დიდი ყურადღება დაეთმო ანტიბიოტიკების ზუსტი ჩვენების და დოზირებით დანიშვნის საკითხს.

მსოფლიო ექიმთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, საზეიმო მიღებისა და გახსნის ღონისძიებებში მონაწილეობდნენ საქართველოს არაერთი სახელმწიფო უწყებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი“, — განაცხადა საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარემ, პროფესორმა გია ლობჟანიძემ.

„ეს განსაკუთრებული მოვლენაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რადგან აქამდე მსგავსი მასშტაბის ღონისძიება სამედიცინო მიმართულებით ჩვენს რეგიონში არ ჩატარებულა. ასამბლეაში ბევრი სხვადასხვა პროფილის მედიკოსი მონაწილეობდა. განსახილველი საკითხები მედიცინის სხვადასხვა დარგს ეხებოდა, მათ შორის, იყო ექიმის პაციენტთან მიდგომის მეთოდები, გარემოს ცვლილება და ადამიანის ჯანმრთელობა და ა.შ.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ მასშტაბის ღონისძიების ორგანიზების პროცესიც, მსოფლიო ექიმთა ასოციაციის მიერ მოწოდებული პროტოკოლი ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობასთან უნდა შეგვეთავსებინა, საკმაოდ რთული პროცედურები გახლდათ გასავლელი. ვფიქრობთ, რომ ამოცანას თავი კარგად გავართვით“, — განაცხადა საქართველოს ექიმთა ასოციაციის გენერალური მდივნის მოადგილემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორმა თინათინ სუპატაშვილმა.

მსოფლიო ექიმთა ასოციაცია 1947 წელს დაფუძნდა, საქართველოს ექიმთა ასოციაციას მსოფლიო ექიმთა ასოციაციის წევრი ქვეყნის სტატუსი 2002 წელს ქალაქ ვაშინგტონში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე მიენიჭა. თბილისში გენერალური ასამბლეის ჩატარების გადაწყვეტილება მსოფლიო ექიმთა ასოციაციამ 4 წლის წინ მიიღო. როგორც საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარემ გია ლობჟანიძემ აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლების პროდუქტიულმა მოღვაწეობამ განაპირობა.

„ჩვენ რამდენიმე პროექტში წარმატებით მივიღეთ მონაწილეობა, მათ შორის არის წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროექტი — „სტამბულის პროტოკოლი“, რომელსაც ხელი განვრიანებისთანავე მოვაწერეთ, საქართველოში დავნერგეთ და დღესაც ამ საკითხზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, ერთ-ერთი მოწინავეა — „ემპათია“. ასევე, 90-იან წლებში, ევროპის ექიმთა ასოციაციაში განვრიანებისთანავე დავიწყეთ თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ მუშაობა და დღესაც თამბაქოს მოხმარების საწინააღმდეგო კანონპროექტების მომზადების და დანერგვის თანამონაწილე ვართ, ხელს ვუწყობთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, ვაქტიურობთ საერთაშორისო ასპარეზზე... სწორედ ამ საქმიანობის შედეგად, კენჭისყრის საფუძველზე შეირჩა თბილისი მსოფლიო ექიმთა ასოციაციის საიუბილეო ასამბლეის ჩატარების ადგილად“, — აღნიშნა გია ლობჟანიძემ.

კვირეულს მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის და უწყვეტი სამედიცინო განათლების ასოციაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მომავალი წლიდან მათი და საქართველოს ექიმთა ასოციაციის ერთობლივი პროექტების განხორციელება-დაწყება იგეგმება. პროექტის ფარგლებში უცხოელი ექსპერტები სხვადასხვა პროფილის ქართველი ექიმებისთვის სემინარებს ჩაატარებენ.

კვირეულის ფარგლებში ჩამოსული სტუმრების ნაწილი საქართველოს ტურისტის სტატუსით, დაახლოებით, ერთი თვის განმავლობაში სტუმრობდა. უცხოელი მედიკოსები გამოგზავნილ წერილებში აღნიშნავენ, რომ თბილისში გამართული ასამბლეა ერთ-ერთი გამორჩეული, ნაყოფიერი და წარმატებული იყო, მათ შორისაა მსოფლიო ექიმთა ასოციაციის გენერალური მდივანი, ბატონი ოტმარ კლოიბერი.

WORLD MEDICAL ASSOCIATION
WMA

რისმაგ გორდეზიანის „ბერძნული ცივილიზაცია“

შერთხია ბეროშვილი

25 ოქტომბერს თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის „ბერძნული ცივილიზაციის“ I და II ტომების გადამუშავებული და გავრცობილი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც თავად მეცნიერი უძღვებოდა. „ბერძნული ცივილიზაცია“ განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის, სტუდენტებისა და ძველი სამყაროს კულტურებით დაინტერესებული მკითხველისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბერძნული ცივილიზაციის“ პირველი ტომი ჯერ კიდევ 1988 წელს გამოვიდა, II ტომი კი — 1997 წელს.

„მოგეხსენებათ, ეს წიგნები საკმაოდ მძიმე დროს გამოიცა, როდესაც საქართველოში არეულობა დაიწყო. პირველი ტომი დიდი ტირაჟით გამოვიდა, მეორე ტომის გამოცემას ბევრი ხელშემშლელი ფაქტორი უძღვოდა წინ, ამიტომ ვერ მოვახერხე მისი ბოლომდე მიყვანა, რომელიც 500 ეგზემპლარი გამოვიდა. ახლად გამოცემულ ტომში 3 თავია დამატებული: „ისტორიის უკვდავება“, „სიტყვის ძალა“ და „ფილოსოფიის ტრიუმფი“ — ამით, ფაქტობრივად, ამოიწურა ჩემი სათქმელი კლასიკური ეპოქის ელინურ კულტურაზე. მეორე გამოცემაში ანტიკური სახელების გადმოცემისას ვისარგებლე ქართულ კლასიკურ ფილოლოგიაში ამჟამად მიღებული წესებით. სამომავლოდ, ჩემი სურვილია, კიდევ სამი წიგნი გამოიცეს — ბერძნული ცივილიზაცია გვიანანტიკურობამდე, ეტრუსკული კულტურა და რომაული ცივილიზაცია. ამჟამად ჩემს მეუღლესთან ერთად მესამე ტომზე ვმუშაობ, რომლის დასრულების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება არაბერძნულ ენაზე ყველაზე დიდი ბერძნული ცივილიზაციის ისტორია. ჩემი აზრით, ამ ორტომეულის გაცნობის შემდეგ მკითხველი მიიღებს მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას ბერძნული კულტურისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

„წიგნის გამოცემა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ითავა. მადლობა მინდა გადავუხადო წიგნის რედაქტორს მარიამ გოჩიტაშვილს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დოქტორანტს ეკატერინე კვირკველიას ნაშრომის გამოსაცემად მომზადებისა და ილუსტრაციების მოძიების საქმეში გაწეული დახმარებისათვის, ასევე, ჩემს მოსწავლეს ბექა კვირკველიას და სოფიო შამანიდს, რომლებიც მომდევნო ტომებზე მუშაობისას დამეხმარებიან“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

როგორც პრეზენტაციაზე მეცნიერმა თქვა, ანტიკური ეპოქა იმითაც არის საინტერესო, რომ დაინახოს საზოგადოებამ, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ერთმმართველობას და რა კრიზისამდე შეიძლება მივიდეს ასეთ დროს საზოგადოება. „შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პოლიტიკოსები დასხდებიან და დღე და ღამეს გაათენებენ ამ წიგნების კითხვაში, მაგრამ ვინც წაიკითხავს, ბევრ თავის სასარგებლოს ნახავს ამ წიგნში“, — განაცხადა რისმაგ გორდეზიანმა.

კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი

მე-2 გვ-დან



სისტემა-სტრუქტურისა და არეალური ლინგვისტიკის საკითხებს და სხვა...

კონგრესი გახსნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტრადიციულად იყო და არის კავკასიოლოგიის სამეცნიერო ცენტრი მთელ კავკასიაში. წლების განმავლობაში თსუ-ში იყო კავკასიოლოგიის სკოლა, რომელმაც კავკასიოლოგების მთელი პლეადა აღზარდა. ენათმეცნიერებასთან, ისტორიის საკითხებთან და, ზოგადად, მეცნიერების განვითარების საკითხებთან დაკავშირებული ბევრი საინტერესო თემა განიხილება ასეთ მასშტაბურ ფორმატში. საქართველოს აქვს საინტერესო ფუნქცია: საქართველო იყო, არის და იქნება კავკასიის კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი“. მან ხაზი გაუსვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს კავკასიოლოგიის განვითარების საქმეში: „კავკასიოლოგების მხარდასაჭერად თსუ-ში კავკასიოლოგიის მძლავრი ცენტრი უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც ბევრ იდეას, მეცნიერს გააერთიანებს და ამ სფეროში ახალგაზრდების მოზიდვის საფუძველს შექმნის“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

კონგრესზე შესავალი სიტყვით წარსდგა კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, თსუ-ის პროფესორი ცირა ბარამიძე: „კავკასიის პირველი ეროვნული უნივერსიტეტი დღეს უკვე რიგით მეხუთედ გიხსნით კარს, რათა წარმოვადინოთ, განვსაჯოთ და შევაჯამოთ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა დარგებში, ასევე, ფიზიკურ ანთროპოლოგიაში უკანასკნელ 3 წელიწადში მიღწეული სამეცნიერო შედეგები. ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ეგიდით ვაწარმოებთ კავკასიოლოგიაში არსებული თანამედროვე ხედვებისა და კვლევათა შედეგების განხილვას და ამით ვაგრძელებთ ამ უნივერსიტეტის დამაარსებლის, ათასწლეულის ფიგურის, დიდი ივანე ჯავახიშვილის დაწყებულ საქმეს. ჩვენ კავკასიის ვიწრო ბილიკებით კვლავ მივისწრაფით ერთმანეთისაკენ, რათა საკუთარი წვლილი შევიტანოთ იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის აკვანში მკვიდრი და შემდგომ დამკვიდრებული, ენდოგენური და ეგზოგენური ეთნოკულტურების შესწავლისა და გადარჩენის საქმეში. ეს ჩვენი — მეცნიერთა უპირველესი მოვალეობაა“.

პროფესორმა ცირა ბარამიძემ საოცრად ემოციური, საინტერესო და აკადემიური მოხსენება წარმოადგინა. შესავალ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა კონგრესის მნიშვნელობასა და მასშტაბურობას: „მე-5 კონგრესი საქართველოს ადგილსა და როლს განსაზღვრავს კავკასიურ კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში. ეს თემა სულაც არ ნიშნავს, რომ ქართული კულტურა რითიმე გამორჩეული ან უკეთესია დანარჩენ კავკასიურზე. საქართველოს გამორჩეულობა მის კავკასიურ ფუნქციაშია და არა მის განსაკუთრებულობაში. კავკასიის შესწავლაში უშუალოდ კავკასიის პირველმა უნივერსიტეტმა გადადგა პირველი ნაბიჯები და ეს მესახება საქართველოს, როგორც კავკასიოლოგიური კვლევების ცენტრის, უმთავრეს ფუნქციად სამეცნიერო თვალსაზრისით“.

კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესს ბევრი მომხსენებელი ჰყავდა ყარსიდან, ინგუშეთიდან, მოსკოვიდან, სომხეთიდან, ბაქოდან. მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებები საქართველოში კავკასიოლოგიის კვლევებისათვის რეგიონის ხალხთა საერთო ისტორიული წარსულის ახლებურად შესწავლას ეხებოდა. ისინი კავკასიის ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის, ინტეგრაციის იდეოლოგიურ საფუძველს კავკასიურ ცივილიზაციაში ხედავენ, რომელიც ეფუძნება კავკასიის ხალხთა ერთიან ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებულ საერთო ღირებულებებს: ურთიერთობის კულტურას, ეტიკეტს, საკომუნიკაციო და ეთნოლინგვისტურ ერთობას. უცხოელი მეცნიერების ნაშრომებში საქართველო წარმოდგენილია, როგორც კავკასიური იდეის ხორცშესხმის ისტორიულ-კულტურული ცენტრი.

მეცნიერთა დიდმა ნაწილმა კონგრესი მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმად მიიჩნია, რადგანაც იგი მოიცავდა კავკასიოლოგიის თითქმის ყველა მიმართულებას.

„საქართველო კავკასიის კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში — ეს არის ის მესიჯი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და კულტურულ-ცივილიზაციურ ფუნქციას. ეს ფუნქცია არის უცვლელი საქართველოსთვის და, ვფიქრობ, რომ ასეთი მიდგომა არის ყველაზე სწორი. საქართველო არის ფლაგმანი კავკასიოლოგიურ კვლევებში“, — განაცხადა კონგრესის დასასრულს თსუ-ის პროფესორმა ცირა ბარამიძემ.

კავკასიოლოგთა V საერთაშორისო კონგრესი კავკასიოლოგიით დაინტერესებულ უცხოელ და ქართველ მეცნიერებს 3 წლის შემდეგ ისევ უმასპინძლებს, რადგან მისი გამართვა, ერთი მხრივ, იმ შედეგების დათვალიერებაა, რასაც კავკასიოლოგებმა სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ მიაღწიეს, მეორე მხრივ კი მეცნიერებს ეძლევათ შესაძლებლობა, ხელისუფლებას ის პრიორიტეტები წარუდგინოს, რომლის განხორციელებაც კავკასიოლოგიური დარგების განვითარებას და პოპულარიზაციას განაპირობებს.

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

მე-2 გვ-დან

რება აქვს. ყოველწლიურად იზრდება პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვიც, ვისთანაც აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა გვაქვს. ჩვენი ქვეყნისთვის ასევე მნიშვნელოვანია გლობალურ, საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ეკონომიკური საზღვრების გაფართოებას“.

კონფერენციას საპატიო სტუმრების რანგში მიესალმნენ საქართველოს პარლამენტის წევრი მარიამ ჯაში და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია.

„კონფერენციის მთავარი თემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იმ მასშტაბის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ჩვენ საკუთარი ადგილი უნდა ვიპოვოთ ეკონომიკის გლობალური განვითარების პროცესში. ამ საკითხის მნიშვნელობაზე და პრობლემათა იდენტიფიცირებაზე უკვე ოცდაათი წელია საუბრობენ. ახლა მთავარია მუშაობა პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიებაზე. ეკონომიკის გლობალურ განვითარებაში ჩვენი ქვეყნის მსგავს ქვეყნებს რაიმეს დამოუკიდებლად შეცვლა არ შეუძლიათ, სწორედ ამ საკითხს ეხება კონფერენცია, რომელზეც კონკრეტული რეკომენდაციები იქნება შემუშავებული. ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ იმ ძირითად თემებს, რომლებიც ზემოქმედებს გლობალიზაციის პროცესებზე. ასევე მნიშვნელოვანია კულტურული ფაქტორის გათვალისწინებაც. მთავარი პრობლემა გლობალიზაციისა გახლავთ მისი ინსტიტუციონალიზაცია, ასევე, ინკლუზიურობის იმ მასშტაბით განვითარება, როგორიც საჭიროა, რადგან დღეს დედამიწა უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენ უნდა ავიღოთ ყველა ქვეყნის სიკეთე, რაც უდავოდ აქვს გლობალიზაციის პროცესს, მაგრამ ყველა ის ნეგატიური ზეგავლენა, რომელიც ამავე პროცესის განმავლობაში გამოიკვეთა სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ“, — განაცხადა რომან კაკულიამ.

პროფესორმა ვლადიმერ პაპავამ ისაუბრა გლობალიზაციის მნიშვნელობასა და გამოწვევებზე; თსუ-ის პროფესორმა ავთანდილ სილაგაძემ მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, ყველა მონაწილეს და იმედი გამოთქვა, რომ ეს ტრადიცია სამომავლოდაც გაგრძელდება. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გაიხსნა პლენარული სხდომა. მოხსენებით გამოვიდნენ: პოლ ჰეარი (აკადემიკოსი, ჰელიოტ-ვოტის უნივერსიტეტი, ედიმბურგი, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო; თემა — „ზრდა და განვითარება, საქართველოს მაგალითზე“); რაინერ ვენერი (პროფესორი, ვურცბურგ-შვეინფურტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია; თემა — „გლობალიზაციის ეფექტები ევროპის ავიაკომპანიების ბაზრებზე“); ელინა გაილე-სარკანე (დეკანი, პროფესორი, რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლატვია; თემა — „უნივერსიტეტებისა და ინდუსტრიის კოოპერაცია: ბალტიის რეგიონის გამოწვევები“) და გიუნტერ ჰოფბაუერი (პროფესორი, ინგოლშტადტის ტექნიკური უნივერსიტეტი, გერმანია; თემა — „ბლოკჩეინ პროგრამები ბიზნეს პროცესებში შესყიდვებისათვის“).

კონფერენციის ბოლოს უცხოელმა ეკონომისტებმა მადლობა გადაუხადეს ქართველ კოლეგებს თანამშრომლობისათვის და აღნიშნეს, რომ ქართველი მეცნიერების კვლევის შედეგები მსოფლიო ეკონომიკურ წრეებში დიდ ყურადღებას იმსახურებს, რომ ქართველი კოლეგების მოსმენა და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესში ჩართული ქვეყნების ეკონომიკური ვექტორის განსაზღვრისათვის.

„საქართველო ძალიან საინტერესო ქვეყანაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ყოფილი საბჭოთა ქვეყანაა და საინტერესოა აქ არსებული ტრანსფორმაციული პროცესები, არამედ იმიტომ, რომ თვითონ საქართველო და მისი ინტელექტუალური პოტენციალი იძლევა იმის საშუალებას, რომ განვითარდეს. კონფერენციის თემა ძალიან კარგად არის შერჩეული — გლობალიზაციის გამოწვევები, ის პრობლემები, რაც მსოფლიოს წინაშე დგას, მათ შორის, ეკონომიკის და ბიზნესის თვალსაზრისით“, — აღნიშნა ინგოლშტატის (გერმანია) ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა გიუნტერ ჰოფბაუერმა.

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა მუშაობა სექციებში განაგრძეს, სადაც საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს.

საერთაშორისო სკოლა-სემინარი ორ განზომილებიან კრისტალებსა და ფოტონიკაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სკოლა-სემინარი ორ განზომილებიან კრისტალებსა და ფოტონიკაში“ (2DCP). სკოლა-სემინარი ორგანიზებული იყო თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის, ჩრდილო კაროლინას ცენტრალური უნივერსიტეტისა და ნიუ-იორკის სითი კოლეჯის წარმომადგენლების მიერ. თანაორგანიზატორი იყო ფუნდამენტური ფიზიკის ხმელთაშუაზღვის ინსტიტუტი. ღონისძიებაში მონაწილეობდა 23 უცხოელი მეცნიერი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, კანადიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, პოლონეთიდან, ჩინეთიდან, ინგლისიდან, რუსეთიდან. სეზონური სკოლის 23 მსმენელიდან 6 უცხოელი იყო.

სკოლა-სემინარის ძირითადი თემატიკები იყო:

- 2 პლაზმონიკა და მეტაზედაპირები;
- ექსიტონების ფიზიკა დაბალგანზომილებიან ნახევარგამტარებში;
- პოლარიტონიკა და არაწრფივი ოპტიკა კვანტური მასალებით.

ღონისძიება მიზნად ისახავდა დარგის აღიარებული ლიდერების, მეცნიერების შეკრებას, უახლესი სამეცნიერო მიღწევების განხილვას და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ნიჭიერი, პერსპექტიული სტუდენტებისათვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, მათ ჩართვას მეცნიერების ამ სწრაფად განვითარებად სფეროში. სკოლა-სემინარის მიზანი იყო, აგრეთვე, საქართველოს კვლევითი და აკადემიური ორგანიზაციების ინტერნაციონალიზაციისა და საქართველოში კველევის ახალი მიდგომების, ინოვაციების, კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა.

პროგრამაში ლექცია-სემინარების გარდა და სამეცნიერო მოხსენებებთან ერთად ყოველი სამუშაო დღის ბოლოს გათვალისწინებული იყო „მრგვალი მაგიდა“, სადაც მეცნიერები პასუხობდნენ სტუდენტების შეკითხვებს, მათ შორის, მეცნიერებაში კარიერის განვითარების პერსპექტივების შესახებ. სტუდენტებს მიეცათ, ასევე, შესაძლებლობა თავიანთი კვლევის შედეგები წარმოედგინათ სტენდური მოხსენებების სახით. 3 ყველაზე გამორჩეული სტუდენტი, რომლებიც გამოავლინა საორგანიზაციო და პროგრამული კომიტეტის წევრებისგან შემდგარმა კომისიამ, დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით და ფულადი პრიზებით.

სკოლა-სემინარი მართლაც გახდა კარგი პლატფორმა დარგის ექსპერტების შეხვედრისათვის, ახალი ცოდნის გაზიარებისა და სამეცნიერო თანამშრომლობის დამყარებისთვის. სტუდენტებს და ახალგაზრდა მკვლევრებს სხვადასხვა ქვეყნებიდან ამ ღონისძიებაზე მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა სამეცნიერო მიღწევებზე ესაუბრათ უშუალოდ ავტორებთან.

აღსანიშნავია, რომ სკოლა-სემინარის დამთავრებისთანავე თსუ-ის რამდენიმე სტუდენტმა გამოხატა სკოლა-სემინარის თემატიკებზე მუშაობის სურვილი; თსუ-სა და ნიუ-იორკის სითი კოლეჯის წარმომადგენლებს შორის დაისახა ახალი თანამშრომლობის გეგმები; ორგანიზატორები შეთანხმდნენ მსგავსი ღონისძიებები კონდენსირებული გარემოს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე ჩატარდეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში 2 წელიწადში ერთხელ, რაც საშუალებას მისცემს რეგიონულ უნივერსიტეტებს უფრო ინტენსიურად მიიღონ მონაწილეობა დაგეგმილ ღონისძიებებში.

ღონისძიება დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და Office of Naval Research (აშშ).

უკრაინისტიკის ინსტიტუტმა კიევის უნივერსიტეტის 185 წლის იუბილე აღნიშნა

უკრაინისტიკის ინსტიტუტში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის დაარსებიდან 185 წლის იუბილეს. სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ოთარ ბაქანიძემ და ინსტიტუტის თანამშრომლებმა. მოხსენებები ეხებოდა ქართველ სტუდენტებს კიევის უნივერსიტეტში, ქართული კულტურის კვლევისა და სწავლების ისტორიას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ისტორიას, მიმდინარე პროექტებსა და სამომავლო პერსპექტივებს. აღინიშნა ის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განმტკიცებას.



IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
INSTITUTE OF UKRAINIAN STUDIES

„22“ жовтня 2018 р. № 22101908

Київському університету 185 років

Ювілей Київського університету - це знакова подія в історії українського народу. Київському національному університету імені Тараса Шевченка виповнилося 185 років від дня заснування. Велике значення цей ювілей також має для грузинського суспільства, оскільки в Київському університеті протягом десятиліть виховувалися грузинські спеціалісти різного напряму, громадські діячі, у тому числі такі корифеїв: Якоб Гогебашвілі, Олександр Сарджвеладзе і інші.

Київський університет від дня заснування стає осередком грузинської молоді.

Треба зазначити, що співпраця між Тбіліським державним університетом та Київським Національним університетом безперервно здійснюється у різних напрямах науки, викладацько-студентських, навчальних та наукових виявлях.

Для інституту українстики завжди особливо важливою була співпраця з Київським Національним університетом в рамках різних проектів. З великою повагою відзначаємо ювілей Київського університету відкритим засіданням «На перехресті історії та епох - Київський національний університет імені Тараса Шевченка 185» та вітаємо з цим великим святом! Попереду нові знання та перемоги!

Інститут Українстики

ერის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის მშობლიურ უნივერსიტეტს. ასეა კიევის უნივერსიტეტი. მან უკრაინელებს და მათთან ერთად მრავალი სხვა ერის წარმომადგენელს მისცა ცოდნა-განათლება და დააყენა ცხოვრების გზაზე, დამოძღვრა სახელმწიფო, პოლიტიკური, განათლებისა და მეცნიერების მომავალი გამოჩენილი მოღვაწენი, რომელთა როლი მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. მადლიერებით მინდა აღვნიშნო კიევის უნივერსიტეტის განსაკუთრებული წვლილი ქართული კულტურისა და განათლების ისტორიაში. კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი გადაიქცა მეცნიერებისა და კულტურის უდიდეს ცენტრად, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების აღზრდისა და ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლებისათვის მებრძოლთა კერად, ახალი უკრაინული ნაციონალური მოძრაობის აკვნად. მისი ეს უდიდესი პოტენციალი სხვადასხვა დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართულ მეცნიერებასა და კულტურაში. სწორედ უკრაინის ამ დიდებულ ტაძარში მიიღეს განათლება და აღიზარდნენ ღირსეულ პიროვნებებად შემდგომში კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, ბრწყინვალე ადამიანები, რომლებმაც ასახელეს ქართველი ხალხი. ასე იყო ეს ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეებში და ასეა დღესაც. ქართველი და უკრაინელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა მხოლოდ მნიშვნელოვანი ფაქტებით კი არ არის მდიდარი, არამედ მასში ისტორიულად კანონზომიერი მოვლენებიც იჩენენ თავს. ორივე ერთმორწმუნე მართლმადიდებელი ერია, ორივე ხალხს ისტორიულ-სახელმწიფოებრივი ბედისწერაც, თითქმის, ერთნაირი ჰქონდა. ნაწილებად დაფლეთილი ჩვენი ქვეყნები მუდამ ისწრაფოდნენ მთლიანი, თავისუფალი სახელმწიფოს შექმნისაკენ, ერთნაირად განიცდიდნენ როგორც სოციალურ, ისე ნაციონალურ ჩაგვრას. იმედი გვაქვს, ჩვენს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს“ (ნათქვამია მილოცვაში).

თბილისისა და კიევის უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობის ისტორიამ ორივე ქვეყნის მეცნიერების ისტორიაში საინტერესო ტრადიცია შექმნა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან პროფესორ ოთარ ბაქანიძის ინიციატივით განხორციელებულმა სტუდენტთა გაცვლამ განაპირობა უკრაინაში ქართველოლოგიური კვლევების ტრადიციის შექმნა, ხოლო საქართველოში თარგმანისა და უკრაინისმცოდნეობითი კვლევების განვითარება. ყოველი მათგანი დღეს ნაყოფიერ სამეცნიერო, სასწავლო და მთარგმნელობით მუშაობას ეწევა საქართველოსა და უკრაინაში.

აღსანიშნავია, რომ ამ საიუბილეო თარიღთან ერთად კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებიდან 80 წელი შესრულდა, რაც თავისთავად მეტყველებს სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების მრავალწლიან ტრადიციაზე.

ივანე მჭედლაძე,
ფილოლოგიის დოქტორი,
უკრაინისტიკის ინსტიტუტი

ქეთევან ჭკუასელი: უნივერსიტეტი გულსაბნევივით უნდა დაიბნიონ და ყველგან იამაყონ, რომ აქ მუშაობენ

მე-7 გვ-დან

შაობენ, ასევე მისი მოწაფეა მოწვეული ლექტორების უმრავლესობა. „მადლობა უფალს, რომ ბევრი სტუდენტი გვყავს მიმართულებაზე და ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ ამ ბევრიდან ისეთები ამოარჩიო, რომლებიც აქ საქმიანობას გააგრძელებენ. მე არცერთ საკითხს არ ვწყვეტ ერთპიროვნულად, ყველაფერი ერთობლივი მსჯელობის და გადაწყვეტილების შედეგია. ვფიქრობ, რომ ამ გადაწყვეტილებებში არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდულ აზრს. ისინი თავის ზურგზე გრძნობენ, თუ რა პრობლემები აქვს სკოლას და რა უნდა გამოსწორდეს მომავლისთვის“, — გვიყვება იგი.

დღეს თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების მიმართულებით მოქმედებს 2 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა, ასევე მუშაობს 300-კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, 60-კრედიტიანი მაინორ პროგრამა და 60-კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა ზრდასრულთათვის, რომლებიც მომავალ პედაგოგებს უზრდის ქვეყანას. ამ ყველაფრის შემოქმედი კი ქალბატონი ქეთევან ჭკუასელი და მისი გუნდია. ეს ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სათანადოდ დააფასა და სულ ცოტა ხნის წინ ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გადასცა.

„გულწრფელობა ადამიანურ ურთიერთობებში არსებითი მგონია“

თავისუფალი დრო არ აქვს, მაგრამ ახლობლებისა და მეგობრებისთვის მაინც გამოძებნის ხოლმე დღეებს. უყვარს მუსიკა და თუ რამეზე წუხს, ისაა, რომ სიმღერა არ იცის: „მოცარტი მიყვარს. წყაროსავით არის — ძალიან მაწყნარებს. სახლში ფირფიტების ძალიან დიდი კოლექცია მაქვს. სტიპენდიას რომ ავიღებდი, პირველი, რასაც ვყიდულობდი, ფირფიტა იყო. პეკინის ქუჩაზე ერთი მაღაზია იდგა — მელოდია და მისი ხშირი სტუმარი გახლდით. მერე, როცა ტელეფონით ან კომპიუტერით დავიწყე მუსიკის მოსმენა, მივხვდი, რომ ეს ცა და დედამიწაა. ვერც ვუსმენდი თავიდან, ახლა უკვე მივეჩვიე“.

* * *

უნივერსიტეტის III კორპუსში შემოხვალთ თუ არა, განსაკუთრებულ გარემოში აღმოჩნდებით — აქ დეკანი, მიმართულების ხელმძღვანელი და ლექტორი თანამდებობის პირები კი არა, სტუდენტთა მომსახურებისთვის მოტივირებული ადამიანები არიან. ამ გარემოში კი განათლების მეცნიერებების მიმართულება თვალშისაცემად გამორჩეულია — აქ მუდმივად ტრიალებენ ახალგაზრდები, ქალბატონი ქეთევანის აღზრდილები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ მის გზას. „ერთი ოჯახი ვართ და ერთმანეთის ცხოვრებით ვცხოვრობთ. მადლიერი ვარ ჩემი თანამშრომლების და ამ ბავშვების, რომლებიც მე მოვიყვანე, მათით მიდგას სული. რაღაც ახალგაზრდული მუხტი შემოაქვთ, სიახლეზე არიან ორიენტირებული და თან ინარჩუნებენ იმ ტრადიციას, რომელიც ჩვენ გადავეცით. დიდი იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტის სასახელო გზას გააგრძელებენ“, — გვეუბნება ქალბატონი ქეთევანი და კითხვაზე, რამეს ხომ არ შეცვლიდა თავის ცხოვრებაში, გვპასუხობს: „ალბათ, ისევ ისე ვიცხოვრებდი. ღირებულებათა სისტემაში, რასაც დააყენებ წინა პლანზე, ისაა მთავარი და მე ადამიანურ ურთიერთობებს ვამჯობინებ. უკვე იმდენი წლის ვარ, რომ კარგად მესმის, ვის ვიხსენებ და ვინ არ დამავიწყდება. გულწრფელობა ადამიანურ ურთიერთობებში არსებითი მგონია“...

ენათმეცნიერისა და კავკასიოლოგის თამარ უჯუხუს საიუბილეო საღამო თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერისა და კავკასიოლოგის თამარ უჯუხუს საიუბილეო საღამო გაიმართა, რომელიც გახსნა უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა და ღონისძიების ორგანიზატორმა ცირა ბარამიძემ. თავის სიტყვაში მან ისაუბრა ქალბატონ თამარ უჯუხუს პედაგოგიურ მოღვაწეობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მის გამოცემულ შრომებზე ენათმეცნიერებასა და ფოლკლორში და იმ დიდ წვლილზე, რომელიც ქალბატონ თამარს წლების განმავლობაში შეაქვს ქართულ-ჩერქეზულ და, ზოგადად, ქართულ-კავკასიურ სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობებში. როგორც ცნობილია, თამარ უჯუხუ გახლავთ კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიური სახლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი კავკასიური განყოფილობის უცვლელი ხელმძღვანელი. „კავკასიურ სახლში“ მის მრავალმხრივ საქმიანობაზე — იქნება ეს საგანმანათლებლო თუ სხვადასხვა კულტურული პროექტები, ისაუბრა ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრმა, პოლიტოლოგმა ლევან ლორთქიფანიძემ. მან ხაზი გაუსვა „კავკასიური სახლის“ მიერ ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული „კავკასიის ხალხთა ფოლკლორის“ მრავალტომეულის მნიშვნელობას, რომელიც ქართველი და კავკასიელი მეცნიერების ერთობლივი შრომის შედეგი გახლავთ. ამ პროექტის ავტორი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნაირა გელაშვილია, სამუშაო ჯგუფისა და გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი კი — თამარ უჯუხუ. მანვე ცნობილ ენათმეცნიერ რუსუდან ჯანაშიასთან ერთად რუსულ ენაზე თარგმნა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას უნიკალური ნაშრომი — „ჩერქეზული დღიურები“, რომელსაც დიდი გამოძახილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიის საენათმცნიერო წრეებში.

საქართველოში არსებული ჩერქეზული კულტურის ცენტრის თანამშრომლების სახელით ქალბატონ თამარს მიესალმნენ და მის შემოქმედებაზე ისაუბრეს პროფესორმა ნუგზარ ანთელავამ და ჩერქეზმა პოეტმა და მთარგმნელმა ლარისა ტუპწაყვამ.

თამარ უჯუხუ გახლავთ პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს წევრი. ის აქტიურად მონაწილეობს საბჭოს მუშაობაში, რის შესახებაც ამავე კომიტეტის თანამშრომელმა, ბატონმა ზაალ სარაჯიშვილმა ისაუბრა. მან კომიტეტისა და საკონსულტაციო საბჭოს წევრების სახელით იუბილარს შემდგომი წარმატებები უსურვა. კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ბაკალავრმა, ქეთევან საყევარაშვილმა ისაუბრა ქალბატონი თამარის მიერ შედგენილი და კავკასიური სახლის მიერ 2012 წელს გამოცემული ჩერქეზული ენის სახელმძღვანელოზე, მის მეთოდოლოგიურ უპირატესობებსა და პირველ ჩერქეზულ-ქართულ ლექსიკონზე. წლების განმავლობაში ქალბატონი თამარი ხელმძღვანელობს პროექტს „კავკასიური სახლის სახალხო უნივერსიტეტი“. მას მიესალმნენ ამ პროექტის ძველი და ახალი მსმენელები — ხატია უბირია და შოთა თხილიშვილი. თავის მასწავლებელს, ასევე, მიესალმა ახალგაზრდა კავკასიოლოგი ლიკა ლოლაშვილი, რომელმაც თავის დებთან ერთად შეასრულა ჩერქეზული სიმღერა „ადიიფ“ და ქართული ხალხური „მრავალჟამიერი“.

საღამოს დასასრულს, დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქალბატონმა თამარ უჯუხუმ, რომელმაც ისაუბრა ქართულ-ჩერქეზულ კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ ათეული წლების განმავლობაში მასთან ერთად დღეისათვის უკვე არაერთმა ცნობილმა კავკასიოლოგმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მან მადლობა გადაუხადა კავკასიოლოგიის ინსტიტუტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს წევრებს, „კავკასიური სახლის“ თანამშრომლებსა და ჩერქეზული კულტურის ცენტრის წარმომადგენლებს მისი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

გახსენება

გურამ კარტოზია 85

„მომავლის მეცნიერი“

გურამ კარტოზია

პროფესორი გურამ კარტოზია პედაგოგების ოჯახში გაიზარდა. თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1957 წელს. მას შემდეგ თავისი შეგნებული ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას და ამ ჩვეულებისთვის არ უღალატია სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ბატონი გურამი გამოირჩეოდა უტყუარი მეცნიერული აღღოთი და კვლევის თანმიმდევრული მეთოდოლოგიით, საკითხისადმი კომპლექსური მიდგომისა და პრობლემის სისტემური გააზრების იშვიათი უნარით, ზედმიწევნითი მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და აკურატულობით. სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა მისი ჩამოყალიბება ფართო პროფილის ფილოლოგად. იგი გახლდათ: ქართველური ენების აღიარებული მკვლევარი, რუსთველოლოგი, ტექსტოლოგი, ფოლკლორისტი და ლექსიკოგრაფი. ბატონი გურამ კარტოზია უხმაუროდ ცხოვრობდა პროფესიის, საქმის თავდადებითა და მის გარშემო მყოფი ადამიანების სიყვარულით; სამაგიეროდ, ხმამაღლა ამბობს სათქმელს მისი დანატოვარი საქმე, მეცნიერული მემკვიდრეობა: ზემოჩამოთვლილ დარგებში შექმნილი სტატიები და მონოგრაფიები, რომლებზეც თაობები იზრდებიან და მომავალშიც გაიზრდებიან.

მეცნიერისთვის ყველაზე დიდი და პირუთვნელი მსაჯული დრო და ადამიანებია. ბატონი გურამის ნამოღვაწარს ორივე ფენომენმა მიუჩინა ღირსეული ადგილი ქართული გრამატიკული აზრის განვითარების ისტორიაში, რადგან „გურამ კარტოზიას შრომები ის ფუნდამენტური კვლევებია, რომლებსაც ეყრდნობა ქართველური ენათმეცნიერება, ხოლო თავად გურამი გახლავთ ჭეშმარიტად ბრწყინვალე ქართველოლოგი, დღეს უკვე — ქართველოლოგიის კლასიკოსი“ (აკად. თამაზ გამყრელიძე, პროფ. ეთერ სოსელია). ბატონმა გურამმა არაჩვეულებრივი ახსნა იცოდა. მის მიერ გადაცემული გაკვეთილები აუდიტორიაში არასდროს მთავრდებოდა. იგი წლების შემდეგაც ტოვებდა და ტოვებს საფიქრალს. ცნობილი ქართველოლოგი, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვინფრიდ ბოედერი წერს: „მადლიერებით გავიხსენე მისი გაკვეთილები...; საინტერესო კითხვები აღმიძრა გურამ კარტოზიას გაკვეთილებმა“. ბატონი ვინფრიდის სიტყვებს ერთგვარად ეხმიანება გერმანელი ქართველოლოგის, პროფესორ ჰაინც ფენრიხის შეფასებაც: „დიდი მადლობა, ბატონო გურამ, იმისთვის, რაც მემკვიდრეობად და ანდერძად დაგვიტოვეთ მეცნიერებაში“. პროფესორი გურამ კარტოზია მაღალი რანგის თეორეტიკოსი და გამორჩეული პრაქტიკოსი იყო. ამიტომაც იგი ავლენდა „ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის ფართო ცოდნისა და ენის კანონზომიერებებში ღრმად წვდომის უნარს“, — აღნიშნავს აკადემიკოსი ავთანდილ არაბული. ბატონ გურამს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ახალგაზრდების დაკვალიანება. „იგი იყო ნამდვილი მეცნიერი და პედაგოგი, რომელსაც კი არ აფრთხობდა ახალგაზრდების მეცნიერული ზრდა და წარმატება, არამედ თავად იყო დაინტერესებული მათი წარმოჩენით“ (პროფ. ლალი ეზუგბაია).

გურამ კარტოზიას განსაკუთრებული მისია არგუნა განგებამ: ეკვლია, წარმოეჩინა და ესწავლებინა „ქართველური ენობრივი აღქმის მონოლითურობა, ერთიანობა“, რაც მისთვის იყო „პროფესიული პასუხისმგებლობა, როგორც თაობებს შორის უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირის გარანტი“ (პროფ. ნინო დობორჯგინიძე); ამიტომაც ბატონი გურამის ნამოღვაწარს დრო კი არ აძველებს, პირიქით, ყოველთვის აახლებს და ახალი თვალთახედვით წარმოაჩენს მის ნაფიქრსა და ნააზრევს. იგი „ჩვენ გვერდით დარჩა თავისი მეცნიერული მემკვიდრეობით, სწორი მეცნიერული მიდგომებით... ბატონმა გურამმა სიცოცხლეშივე გააერთიანა წარსული და აწმყო და სიცოცხლეშივე შექმნა მომავალი. იგი, ჭეშმარიტად, მომავლის მეცნიერი გახლდათ!“ (პროფ. იოსტ გიპერტი, პროფ. მანანა თანდაშვილი).

ბატონი გურამის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთი მთლიანი ღრმაშინაარსიანი ფურცელია, რომელიც სახელმძღვანელოდ გამოადგება ყველას, განსაკუთრებით კი მომავალ თაობებს.

მაია ლომია,
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ნინო გელოვანის ახალი სახელმძღვანელო – „სატელევიზიო სერიალის სპეციფიკა“

მე-10 გვ-დან

დისერტაციაში, სადაც ასევე საუბრობს დრამატურგიის მნიშვნელობასა და სხვა საკვანძო საკითხებზე, რომელიც სერიალის გადაღებას ახლავს. რაც შეეხება ქართულ სერიალებს და მათ რეიტინგს სატელევიზიო სივრცეში, საუბარი იქნება ახალ წიგნში, რომლის გამოცემასაც იგი უახლოეს მომავალში გეგმავს. „გასულ წელს ლამბერტის აკადემიური გამომცემლობის მხარდაჭერით გამოვეცი წიგნი „სატელევიზიო პროდუქციის ზოგიერთი ასპექტი“, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებმა საუნივერსიტეტო პროგრამაში შეიტანეს და, ამასთან, „ამაზონზე“ და სხვა უცხოურ საიტებზე უკვე გაყიდვაშია“, — ამბობს ნინო გელოვანი. ეს რიგით მეორე საავტორო წიგნია.

სახელმძღვანელოს მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის რეჟისორი მადლობას უხდის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე ვახტანგოვს. წიგნის გარეკანის დიზაინერს მიხეილ ჩხენკელს, ილუსტრაციების ავტორს ანდრო ამბარცუმიანს, ელენე გელაშვილს და თსუ-ის გამომცემლობას.

იუბილე

კობა ხარაძე 80

ღვაწლმოსილი მეცნიერი, ორგანიზატორი, პედაგოგი

ქართული გეოგრაფიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ კობა ხარაძეს 80 წელი შეუსრულდა.

დიდია მისი დამსახურება გეოგრაფიულ მეცნიერებასა და განათლებაში, ჟურნალისტიკაში, საზოგადოებრივ-საორგანიზაციო საქმიანობაში, მართლაც რომ ხელხვავიანი მეცნიერია — 600 სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, მათ შორის, 50 მონოგრაფია, 8 საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო, მრავალი საგაზეთო წერილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კობა ხარაძე დაიბადა 1939 წლის 17 ოქტომბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ერთხანს ჩხარის კრამიტის ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ გაიწვიეს სამწლიან სამხედრო სამსახურში — დონის როსტოვში. ბავშვობიდანვე იზიდავდა მშობლიური ქვეყნის ბუნების სილამაზე და ისტორიის სიყვარული.

კობა ხარაძე 1962 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა, წარჩინებულმა სტუდენტმა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პედაგოგის რთული და საპატიო მოღვაწეობის გზა აირჩია, მუშაობდა ჯერ წალკის რაიონის სოფელ გუმბათის, ხოლო შემდეგ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ბოგვის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად. მეტად ნაყოფიერი გამოდგა მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, მისი როგორც მოწინავე მასწავლებლის საქმიანობა არაერთხელ იქნა გაშუქებული რაიონულ გაზეთებში.

კობა ხარაძემ 1969 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელის, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის, მთამსვლელის, ვახუშტი ბაგრატიონის და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ნიკოლოზ პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედლის ლაურეატის, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ახალგაზრდა მეცნიერმა, ღირსეულმა მოწაფემ ვადაზე ადრე (ასპირანტურის დამთავრებამდე) წარადგინა საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი — „გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში (X-XVIII სს.)“ და წარმატებით დაიცვა 1973 წელს.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კობა ხარაძემ იქვე, გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილებაში განაგრძო მუშაობა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1974 წლიდან — უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. მისი სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს, ძირითადად, ისტორიული გეოგრაფიის მთელ რიგ საკითხებს, აგრეთვე, გეოგრაფიის ისტორიას, ონომასტიკას, ტურისტულ-საექსკურსიო მიმართულებას და სხვ.

კობა ხარაძემ საქართველოს ისტორიულ-გეოგრფიულ კუთხეებს მიუძღვნა ფუნდამენტური მონოგრაფიები: სერიის — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია“ ფარგლებში — „შიდა ქართლი“, „ქვემო ქართლი“, „ზემო ქართლი“, „კახეთი“, „აჭარა“, „იმერეთი“.

კობა ხარაძემ 1993 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქართლი“. სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ქართლის ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ტოპონიმების ლოკალიზაციასა და ეტიმოლოგიაზე.

არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა კობა ხარაძემ ქართული გეოგრაფიული აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს. მნიშვნელოვანია მონოგრაფიები — „გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში“, „XII-XV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურები“, „XVII-XIX საუკუნეების ქართველი მოგზაურები“. აღსანიშნავია, ასევე, მონოგრაფიები — „ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი“ (თანაავტორობით), „ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში — რაფიელ დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი“. „სულხან-საბა ორბელიანის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“, „ტიმოთე გაბაშვილის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“, „ათი წელი მოგზაურობაში — იონა გედევანიშვილი“.

კობა ხარაძის კვლევის ძირითად ობიექტს ძველი ტოპონიმების კვლევა შეადგენს, მის მიერ დადგენილ იქნა თითქმის ყველა ნასოფლარის თუ გადარქმეული სოფლის სახელწოდება, რაც ვახუშტი ბაგრატიონის რუკების, წერილობითი წყაროების, მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში არსებული ხელნაწერების და რუკების შესწავლის და ანლიზის საფუძველზე განხორციელდა. მან თავი მოუყარა 20 ათასზე მეტ ძველ ტოპონიმს და მოამზადა პირველი წიგნი — „საქართველოს ძველი ტოპონიმები“. მასში თავმოყრილი იყო 7000 ძველი ტოპონიმი, რომელიც აღარ იხმარება. სიტყვარს ახლდა ძველი და ახალი შესატყვისები, განსაზღვრული იყო გეოგრაფიული მდებარეობა, ხმარების ქრონოლოგიური საზღვრები, სახელწოდებათა ეტიმოლოგია და სხვ.

წიგნის სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი ლევან მარუაშვილი წინასიტყვაობაში წერდა: „8 წელი მოანდომა კობა ხარაძემ საქართველოს ძველი ტოპონიმების შეკრებას, განმარტებას და დახასიათებას. მისი დაძაბული შრომის შედეგად მივიღეთ ფრიად საჭირო წიგნი — ჩვენი ქვეყნის გაუქმებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი... კობა ხარაძის წიგნი კეთილსინდისიერი და პატრიოტიზმით სულშთანაბერი შრომის ნაყოფია. ქართველი საზოგადოება ღებულობს სამაგიდო წიგნს, რომელიც შეავსებს ყველა ბიბლიოთეკას — საჯაროდან საოჯახომდე, ვერ წარმომიდგენია განათლებული თანამემამულე ძველი ტოპონიმების განმარტებითი ლექსიკონის გარეშე, მწერალი თუ მეცნიერი, ადმინისტრატორი თუ სახალხო მეურნეობის პასუხისმგებელი მუშაკი, პედაგოგი თუ ტურიზმის მოყვარული კ. ხარაძის წიგნის სახით მეტად სასარგებლო ცნობარს ჰპოვებს“.

სამწუხაროდ, წიგნმა დღის სინათლე ვერ იხილა გამომცემლობა „საქართველოს“ მესვეურთა აბსურდული მოთხოვნის გამო. ავტორს კატეგორიულად მოსთხოვეს წიგნიდან ამოეღო აფხაზეთის ძველი ტოპონიმები, აქაოდა „აფხაზეთის ხელმძღვანელობას გავანაწყენებთო“. ავტორი, ცხადია, ამას არ დათანხმდა, რის გამოც მთელი ტირაჟი ჩაიშალა.

გასულ წელს კობა ხარაძემ გამოსცა წიგნი „ტოპონიმიკური შტუდიები“, რომელშიც გადმოცემულია ავტორის მიერ წლების განმავლობაში დაბეჭდილი ტოპონიმიკური საკითხები, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, კრებულებში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული მემკვიდრეობის კვლევა, რასაც კობა ხარაძემ მისი მთელი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი შეალია. მრავალი საინტერესო მასალა მოიპოვა მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, თბილისის არქივებსა და ხელნაწერთა ცენტრში, როგორც ბიოგრაფიულ საკითხებზე, ისე მისი ნაშრომების თითოეულ დეტალზე და ქართული გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელს მიუძღვნა მონოგრაფია — „უებრო ბუმბერაზი. ვახუშტი ბაგრატიონი“.

ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლისთავთან დაკავშირებით, პირველად გამოიცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასი“, აგრეთვე „საქართველოს გეოგრაფია“, სამეცნიერო კრებული „ვახუშტი გეოგრაფი“. საიუბილეო დღეების აღნიშვნასა და გამოცემებს,

სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმეს საიუბილეო კომიტეტის მდივანი — კობა ხარაძე თავად უძღვებოდა და თავდადებული შრომით, წარმატებით გაართვა თავი. უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიის“ ახალ გამოცემას სტრიქონებრივი საძიებელი კობა ხარაძემ დაურთო.

კობა ხარაძემ 2011 წელს გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის „პოლიტიკური გეოგრაფია, XVIII საუკუნე“. ეს ნაშრომი პირველად დაიბეჭდა.

კობა ხარაძემ დიდი ამაგი დასდო „საქართველოს წითელი წიგნის“ არაორგანული ბუნების ძეგლების განყოფილების შედგენასა და გამოცემას. მეტად საინტერესო და სასარგებლო იყო კობა ხარაძის მიერ „საქართველოს გეოგრაფიული კალენდრების“ სერიის შექმნა: 1986 წელს გამოიცა რვათაბახიანი „საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი“, 1987 წელს — „საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი. არაორგანული ბუნების ძეგლები“, 1989 წელს კი — „ადამიანი და ბუნება“. სამივე კალენდარში მეტად საინტერესო ცნობებია მოცემული და ავტორის მიერ გადაღებული ფოტოებით არის დამშვენებული. 2014 წელს გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს ბუნების ძეგლები“, რომელშიც 300-ზე მეტი ბუნების ძეგლია დახასიათებული, მოცემულია მათი ფოტოსურათები.

ტურისტულ-საექსკურსიო საქმეს მიუძღვნა კობა ხარაძემ ცალკე წიგნად გამოცემული ტურისტულ-საექსკურსიო მეგზურები: „ჯავახეთი“, „სამშვილდე“, „ბოდორნა“, „ხერთვისიდან ვარძიამდე“, „ხევის ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები“, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი. ბუნება, წარსული, აწმყო“ და „მარნეულის მუნიციპალიტეტი. ბუნება, წარსული, აწმყო“.

კობა ხარაძემ მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილ მეცნიერებს — „ბუნების უბადლო მკვლევარი. ლევან მარუაშვილი“, „კაცი ლეგენდა. აკადემიკოსი თეოფანე დავითაია“, „დიდი მამულიშვილის ღირსეული ღვაწლი. აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი“, „მისაბაძი პიროვნება, დაუღალავი მკვლევარი. ალექსანდრე ასლანიკაშვილი“, „მიწისქვეშეთის მამაცი მკვლევარი. არსენ ოქროჯანაშვილი“, „გეოგრაფიული მეცნიერების მოამაგე. რომან კვერენჩხილაძე“, „ბუნების დაუღალავი მკვლევარი. დავით უკლება“. გამოსცა აგრეთვე „აკადემიკოს თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმი (გზამკვლევი)“, „აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)“.

უმაღლეს სასწავლებლებში მისი თანამშრომლობა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში — შემდეგ საგნებში: საქართველოს გეოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, გეოგრაფიის ისტორია, მხარეთმცოდნეობა, ონომასტიკა, სამხედრო გეოგრაფია, კულტურის ისტორია.

კობა ხარაძის აქტიური მონაწილეობით სოხუმის უნივერსიტეტში ჩატარდა ექვსი რესპუბლიკური კონფერენცია -„გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე“, რომლის მასალები იბეჭდებოდა სპეციალურ კრებულებში. ხშირად მიჰყვებოდა სტუდენტებს საველე პრაქტიკებზეც, სადაც თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა, განსაკუთრებით ისტორიული და ბუნების ძეგლების კვლევისას.

პროფესორ კობა ხარაძის ძალისხმევით და სოხუმის უნივერსიტეტის საქართველოს გეოგრაფიის კათედრის თანამშრომელთა მონაწილეობით შეიქმნა და გამოიცა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო „საქართველოს გეოგრაფია“ (პირველი, 1999 წ. და მეორე ნაწილი, 2001 წ.). აგრეთვე სახელმძღვანელოები: „ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია“, „ზოგადი დედამიწისმცოდნეობა“ (ელექტრონული სახელმძღვანელო) მელორ ალფენიძესა და ელიზბარ ელიზბარაშვილთან თანამონაწილეობით, „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ (ავტორთა კოლექტივთან ერთად), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია“, სახელმძღვანელო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისთვის, რომელიც, ჯერჯერობით, პირველი და ერთადერთი სახელმძღვანელოა ამ დარგში. არის თანაავტორი საჯარო სკოლის სახელმძღვანელოების — „საქართველოს გეოგრაფია“, IX კლასის სახელმძღვანელო (2008 წ.), „ჩვენი საქართველო“ V კლასის სახელმძღვანელო (2010 წ.).

კობა ხარაძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა გეოგრაფიის ინსტიტუტში მემორიალური მუზეუმი, აკადემიკოსების ალექსანდრე ჯავახიშვილისა და თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმები სოფელ ძევერასა (გორის მუნიციპალიტეტი) და სოფელ ეკში (სენაკის მუნიციპალიტეტი).

გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავზე კობა ხარაძემ შეადგინა წიგნი „ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი 50“, რომელშიც წარმოჩენილია საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება.

ცალკე უნდა აღინიშნოს კობა ხარაძის ჟურნალისტური მოღვაწეობა, რომელიც მეტად ნაყოფიერი გამოდგა. მას სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი წერილი მთელ რიგ.

მრავალი წელი თანამშრომლობდა და ამჟამადაც თანამშრომლობს რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიასთან, ხშირად იღებდა მონაწილეობას გადაცემებში „ბუნების კარი“, „გლობუსი“ და სხვ.

2005 წელს მეცნიერებაში დიდი წვლილისათვის მოხსენიებული არის ამერიკის ენციკლოპედიაში — „ვინ ვინ არის“, რომელსაც გამოსცემს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტი. აგრეთვე მიანიჭეს 2005 წლის მამაკაცის ჯილდო და დასახელეს მაძიებლის მრჩეველთა საბჭოს წევრად.

ვახუშტი ბაგრატიონის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებულია ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მედლით, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის 300 წლისთავთან დაკავშირებით სულხან-საბა ორბელიანის საიუბილეო მედლით, ხოლო 2015 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მედლით.

ბატონი კობა მთელი ცხოვრება მაღალი პასუხისმგებლობით აქტიურ სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და კვლავაც ერთგულად ემსახურება ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებას. დღესაც ჩვეული ენერგიითა და შეუპოვრობით, წელგამართული ხვდება დაბადების 80 წლისთავს. ამის ნათელი დასტურია ის, რომ სულ ახლახან გამოსცა ორი მონოგრაფია: „მარნეულის მუნიციპალიტეტი. ბუნება, წარსული, აწმყო“ და „წარსულის ქრონიკები. მოგონებები“, რომელშიც შთამბეჭდავი და ღირსსახსოვარი ამბებია მოთხრობილი.

ვულოცავთ ბატონ კობა ხარაძეს დაბადების 80 წლისთავს და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შრომით წარმატებებს ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის
გეოგრაფიის ინსტიტუტი,
საქართველოს ალ. ჯავახიშვილის
სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲪᲙᲑᲘᲚᲘ ნოემბერი“, „ბედნიერი და სითბოთი სავსე დღესასწაული“, „მეტი ყვითელი ფოთოლი, მეტი შემოდგომა“, — ასეთი სლოგანებით გაიმართა თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება. ყვითელი ფოთლების „ფარდები“, ყვითელი ფოთლების „ხალიჩა“, შემოდგომის ნობათით სავსე და ფერადი ქრიზანთემებით მორთული ეზო, ყავა, ჩაი, ენერგეტიკული სასმელი, ჩიფსები, პოპკორნი, ჩირი, ჩურჩხელა, ფოტოსესიისთვის განკუთვნილი ფერადი კუთხე და, რაც მთავარია, მუსიკა... ასე შექმნეს მომავალმა ფსიქოლოგებმა კარგი განწყობა უნივერსიტეტის III კორპუსის ეზოში, სადაც გვიანობამდე ერთობოდნენ...

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის წარმომადგენლის ანა კვირიაშვილის თქმით, „შემოდგომის ეს სასიამოვნო საღამო სტუდენტების გასახალისებლად ტარდება. ამისთვის ყველა ერთად გავისარჯეთ: შევაგროვეთ ფერადი ფოთლები, ყვავილები და მოვიწვიეთ ქუჩის მუსიკოსები, ისინი, ვინც თავიანთ შემოქმედებას საზოგადოებას ქუჩაში აცნობენ. მათი ნიჭი ხშირად სათანადოდ არ არის დაფასებული. ეს კონცერტი, შეიძლება ითქვას, რომ მათთვის ერთგვარი მორალური მხარდაჭერაც იქნება“.

„შემოდგომის დღესასწაულზე მეგობრებთან ერთად მოვედი. ჩემთვის ეს ერთგვარი გამოწვევაც არის. ძალიან ლამაზია ირგვლივ ყველაფერი. მუსიკის მოსასმენად კარგი ლოკაციაა — მშვიდი და მყუდრო გარემო. სიამოვნებით ვატარებთ დროს სტუდენტებთან ერთად“, — ასე გამოხატა თავისი ემოცია

ქუჩის მუსიკოსმა ნიკა ჩიხლაძემ.

თავიანთი შთაბეჭდილებები სტუდენტებმაც გაგვიზიარეს: „შემოდგომა ძალიან მიყვარს. ირგვლივ ძალიან ლამაზია ყველაფერი. ასეთ ვითარებაში მუსიკის მოსმენა განსაკუთრებით სასიამოვნოა. ქუჩის მუსიკოსების შემოქმედება ჩემთვის ძალიან საინტერესოა, მათ შორის მართლაც ბევრი მაღალპროფესიონალი და კარგი შემსრულებელია... აქ ჩემს მეგობრებთან მოვედი და კარგად ვერთობი“, — ამბობს თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ნინო ძუკაშვილი.

სტუდენტების გასახალისებლად უკრავდა „ DJ STITCH“ — გიორგი მექვაბიშვილი: „დღეს სხვადასხვა ჟანრის მუსიკას მოვასმენინებ სტუდენტებს, მე სხვადასხვა კლუბებშიც ვუკრავ და კარგად ვიცი, როგორი მუსიკა მოსწონთ ახალგაზრდებს. კარგი იქნება, თუ ასეთი ღონისძიებები ხშირად ჩატარდება“.

„იმედია, დღევანდელი საღამო კარგად დაამახსოვრდებათ როგორც სტუდენტებს, ასევე, მუსიკოსებს, რომლებიც მიწისქვეშა გადასასვლელებში, მეტროს შესასვლელებთან, ქუჩაში მღერიან და ცდილობენ, რომ საზოგადოებას თავიანთი ხმა მიაწვდინონ. მათ ხელშეწყობა და წახალისება სჭირდებათ“, — გვითხრა თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ დიანა ზვიადაძემ.

საღამოს სპონსორები იყვნენ: გურიელი — Gurieli Cherie, ენერგეტიკული სასმელი „გორილა“ Happy Day _ hefi dei, Party Shop Enigma Fireworks Georgia ენიგმა ფეიერვერკს ჯორჯია, „პანტონიმის თეატრი“ „კახური ჩურჩხელა“, „FRIXX“, „Pop Corn“. საღამოს განათებაზე იზრუნა კომპანიამ: „განათება, სტრინგები. ბარის და ეზოს გარე განათებები“. ლაზერულ განათებაზე იზრუნა მაღაზიამ: „Sound Room“, რომლებსაც საღამოს გალამაზებისთვის თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ მადლობა გადაუხადა. თბილი და განსაკუთრებული გარემო შექმნეს ქუჩის მუსიკოსებმა და ბენდმა — „Chameleon cave“.

საღამო დაასრულა DJ STITCH და LISOWSKA.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კაკულია
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
მაია ტორაძე
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მანანა ჯურხაძე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ
ანა ბოლქვაძე
ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
ზაზა გულაშვილი

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
მზია წერეთელი,
ნინო ჩახუნაშვილი,
გიორგი ჯაიანი,
ომარ მუკბანიანი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:
newspaper.tsu.edu.ge
ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:
tsunewspaper@tsu.ge

2017 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲣᲜᲘ-ᲕᲔᲠᲡᲘᲐ“ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ (ᲗᲡᲣ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ).